კვათიანის რვაწლიანი სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელს ლ. გიგინიშვილს, საშუალო განათლებით, დამოუკიდებლად უსწავლია ენა. დაბალია თვით მისი მომზადების დონე: არ იცის კითხვის წესები, ენის გრამატიკის ელემენტარული ხერხები და კანონები. კითხვების დასმისას უშვებს უხეშ შეცდომებს; ბ-ვრი შეცდომა რჩება შეუძინეველი მოსწავლეთა წერით ნაშრომებში, მოუწესრიგებელი აქვს საოქსიკონო რვეულები; ყოველივე ამის გამო დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე.

მ ა თ ე მ ა ტ ი კ ა

ღამაკმაყოფილებლად მუშაობენ მათემატიკის მასწავლებლები ტ. არევაზოვი (გაუწყინარის 8-წლიანი სკოლა), მ. თოფურია (საგვაზაოს 8-წლიანი სკოლა). ისინი სათანადოდ ემზადებიან ყოველი გაკვეთილისათვის და მოსწავლეებს აძლევენ მკვიდრ ცოდნას სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მასალების ფარგლებში.

მაგრამ, არაიშვიათად, გვხვდებიან ცუდად მომუშავე მასწავლებლებიც.

არაღამაკმაყოფილებლად მუშაობს გაუწყინარის 8-წლიანი სკოლის მათემატიკის მასწავლებელი შ. ჭიშმარეიშვილი (უმაღლეს-დაუთმთავრებელი): ახალი მასალის ახსნისას კლასი პასიური იყო, გაკვეთილი ისე ჩატარდა, რომ ნიშანზე არც ერთი მოსწავლე არ შეფასებულა. მე-7 კლასში ჩატარებულმა საკონტროლო წერამ გვიჩვენა, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი ვერ ფლობს პროგრამულ მასალას. 16 წერითი ნამუშევრიდან 7 არაღამაკმაყოფილებლად იქნა შეფასებული.

სისაჩუქრად არ ემზადება გაკვეთილისათვის კვათიანის 8-წლიანი სკოლის მათემატიკის მასწავლებელი მ. მელაძე. VIII კლასში კვადრატული სამწევრიდან სრული კვადრატის გამოყოფის დროს გამოტოვებს x^2 და ვერ მიიღეს სწორი პასუხი. მოსწავლეთა დაბალი მომზადება გვეჩვენა VIII კლასში ჩატარებულმა საკონტროლო წერამ: 7 წერითი ნამუშევრიდან 5 არაღამაკმაყოფილებლად იქნა შეფასებული.

ასევე სუსტად მეშაობს მასწავლებელი გ. უჩანეიშვილი. მას VII კლასში ზერელად შეამოწმა გეომეტრიაში საბინაო დავალები. ყველა მოსწავლეს არ გაუსწორა დაშვებული ნეცდომები. თილად მიცემული სამი თეორემიდან ორში, მასალის თხრობის დროს, სწორად არ იყო ჩამოყალიბებული მოცემულობა და დასკვნა. არასწორად იყო აკრეავე გამარტებული პითაგორას თეორემა. ახალი მასალა მასწავლებელმა ახსნა ლექციური მეთოდით მაშინ, როდესაც უფრო წარმატებით შეიძლებოდა მისი ახსნა ევრისტიკული მეთოდით. ახსნის დროს მასწავლებელი უშვებდა შეცდომებს და ამქდაწებდა საგნის უცოდინარობას. ძალზე დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე. V კლასში საკონტროლო ყურის 18 ნამუშევრიდან 9 არადაძაძაყოფილებლად იქნა შეფასებული.

აკადემიურად დაბალ დონეზე და მეთოდურად გამართავ გაკვეთილებს ატარებს გეზათის 8 წლიანი სკოლის მასწავლებელი შ. ესაკია (უმადლესდაუმთავრებელი).

მოსწავლეები არასწორად განმარტავენ, რომ განტოლება

$$\frac{3x-5}{x-1} - \frac{2x-5}{x-2} = 1$$

არის წილადიანი, მნიშვნელები კი ურთი-

ერთმარტივი გამოსახულებანი. ამ შეცდომას მასწავლებელი არ ასწორებს; მასწავლეები ასევე არასწორად აღნიშნავენ, რომ, თუ ერთი სიდიდის გადიდება იწვევს მეორე სიდიდის გადადებას, მათ ეწოდებათ პიოლაპიოპოპოპოციული სიდიდეები, რაც არ იქნა გასწორებლი. უფრო მეტიც, თვით მასწავლებელიც უშვებს უნებ შეცდომებს. იგი ამბობს: „x დროში გაიარა y მანძილი“, „არაებობს ცხრილური გრაფიკი“. ახალ გაკვეთილს მასწავლებელი ხსნის ლექციური მეთოდით, მუშაობაში ვერ აბამა მოსწავლეს. ვერ იცავს გაკვეთილის მომენტას, ზაზის დარკვის შემდეგ აგოქლებს მაასლის ახსნას, როცა მოსწავლეთა ყურადღება გაუხატულია და მისი მობილიზება მასწავლეებელს არ შეუძლია.

ათავე სკოლის მასწავლებლები ი. გეგინეიშვილი და ნ. ბოზუა ნაკლებად მეშაობენ მეორეულიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან. საგვაზაოს 8-წლიანი სკოლის მასწავლებელი დ. ლომაძე საფუძვლიანად არ ემზადება გაკვეთილებითათვის, არ მეშაობას თავის თავზე. გაკვეთილის გადაცემისას არ იყენებს აქტიურ მეთოდებსა და ხერხებს. არ იცავს გაკვეთილის ძირითად მომენტებს.

V კლასში საკონტროლო ყოთა შეასრულა 16 მა მოსწავლემ, აქედან 1 მოსწავლის წეოითი ნაქუშეკაოი მეფასდა არადაძაძაყოფილებლად.



რაიონის რეწლიან სკოლებში სეკიონული ნაკლოვანებების შენიშვნება ფიზ კია სწავლებაში, რაც, უპირველეს ყოვლისა, იხსანება, რომ შესწავლილი სკოლები უზრუნველყოფილი არ არის ამ საგნის მალაქვა-ივიციური პედაგოგიური კადრებითა და თანამედროვეობის მოთხოვნათა შესაფერისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

ფიზიკა არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ძველი აბაშის რეწლიან სკოლაში, სადაც ამ საგანს ასწავლის სკოლის დირექტორი ი. გოგიგოლია, სპეციალობით ქიმიკოსი. სკოლას არა აქვს ფიზიკის კაბინეტი, არ გააჩნია არავითარი ტექნიკური საშუალებანი, არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები, არ წარმოებს წრეობრივი მეშობა. ყოველივე ამის შედეგად დაბალია მოსწავლეთა მიმზადების დონე.

VI კლასში მასწავლებელმა გაკვეთილი დაიწყო მოსათბობი მასალის—„არქიმედეს ძალა“ გამოკითხვით. დავასთან გამოძახებულმა მოსწავლემ არ იცოდა მასალა, უშეკადა შეცდომებს, როდელთაც მასწავლებელი უსწორებდა, მან მიზანს; რალა თქმა უნდა, ვერ მიადწია. ცოდნა არც მეორე მოსწავლეს აღმოაჩნდა. მოსწავლეთა გამკითხვამ დაგეარწმუნა, რომ კლასის შიდი მოსწავლიდან ექვსმა არ იცის არქიმედეს კანონი. ასეთი, ყოვლად მიუღებელი პასუხები იმოდნა მოსწავლეთათვის: კითხვაზე—რას უდრის სიჩქარე? მოსწავლე პასუხობს—*P*-ს. განხეორებით დასმულ იგივე კითხვაზე მეორე მოსწავლე პასუხობს *v*-ს.

ახალი მასალა—„სხეულთა ცურვა, ცურვის პირობები და მისი დამოკიდებულება სივლის მასალა და სიმკვრივეზე“ მასწავლებელმა ასნა წიგნის ენით, ბავშვებისათვის გაუგებრად. მასწავლებელმა ჩაატარა ცდები, მაგრამ მათი შედეგები მიუწვდომელი და გაუგებარი იყო მასწავლეთათვის. მასწავლებელმა ცურვის პირობები არ დაუკავშირა სივლის სიმკვრავეს. ეს კი ფაქტიურად ნიშნავს ახალი მასალის არასოულყოფილად ასნას. მოსწავლეებმა ვერ გაგეს ახალი მასალა.

სოფელ გეზათის რეწლიანი სკოლის VII კლასის (მასწავლებელი ნ. ბოხუა) მოსწავლეები სუსტად ერკვევიან პროგრამულ საკითხებში, ვერ ხიზვენ გამტარების მ მღევრობით და პარალელური შეეოთების სქემებს. უფრო მეტიც: მოსწავლე ვერ რთავს წრედში

ამპერმეტრსა და ვოლტმეტრს, უზნის წინააღობას, როდესაც წრედში მიმდევრობით ჩართულია 100 ომი წინააღობის მქონე სამი მომბარებელი.

საქონეული
მიზანი

ახალი მასალა — მუდმივი დენის მუშაობა და სიმძლავრე მასწავლებელმა ახსნა ყოველგვარი ცდისა და თვალსაჩინოების გარეშე, მაოლოდ დაფისა და ცარცის გამოყენებით, ამიტომაც ახლად ახსნილი მასალა კლასში ცუდად გაიგო. გაუგებრად ქნა მიცემელი კლასისათვის დენის მუშაობის საანგარიშებელი ფორმულა. აო იყო მიცემული ამ ფორმულა საფუძველზე მუშაობის ერთეულის ჯოჯის განმარტება ($1 \text{ ჯ} = 1 \text{ ს} - 1 \text{ ვ} \cdot 1 \text{ წმ}$). ასევე არ მიეცა კლასს განმარტება სიმძლავრის ერთეულის ვატის მუდმივი დენის სიმძლავრის საანგარიშებელი ფორმულას მხედვით ($N = 1 \cdot u \cdot I \text{ ვ} = 1 \text{ ს} \cdot 1 \text{ ვ}$).

ფიზიკის კაბინეტი აღნიშნულ სკოლაში ტიპურია (შედგება საბრეპოატო ოთახისა და სამცადინოდ განკუთვლილი ოთახისაგან), უზრუნველყოფილია დგამ-ავეჯით, მაკრამ კაბიეტს არ გააჩნია აუცილებელი ხელსაწყო-იარაღებიც კი. არ არის არ ვითარი ტექნიკური საშუალებანი, მიუხედავად იმისა, რომ სკოლა უკვე სამი წელია გადასტლია ახალ სასკოლო შენობაში.

სოფელ გაათლებისკარის რვაწლიანი სკოლის ფიზიკის მასწავლებელი დ. გუბრავა საკონტროლო წერების გასწორებისას უშვებს მცნიეული ხასიათის მრავალ შეცდომას, ხოლო ზოგიერთ კლასში რამდენიმე თვით აგვიანებს ხაშოომების გასწორებას, ასე მაგალითად, VI კლასში 25 დეკემბერს ჩატარებული საკონტოლო სამუშაო მარტშიც გაუსწორებელია, არ აქვს ჩატარებული პროგრამით გათვალისწინებული არც ერთი ლაბორატორიული სამუშაო.

სკოლას არ გააჩნია არავითარი ტექნიკური საშუალება (ფილმოსკოპიც კი). საერთოდ სკოლა ძალიან ღარიბია ფიზიკის ხელსაწყო-იარაღებით.

კათანის რვაწლიან სკოლასაც (დირექტორი ლ. ჯოჯუა, ფიზიკის მასწავლებელი ტ. კატარავა) უმაიშკნელო რაოდენობის ხელსაწყო-იარაღები აქვს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი შევება ახალი ხელსაწყო-იარაღებით ფაქტიურად არ წარმოება; მაკალითად, ბოლო სამი წლის მაძილზე კაბინეტში შეუძენიათ მხოლოდ ერთი დასახელების ხელსაწყო (ნახევარკამტარული გამმართველი). ამის გამო არ ჩატარებულა პროგრამით გათვალისწინებული

არც ერთი ლაბორატორიული სამუშაო. ტექნიკური საშუალებები ყველა მყოფიდანაა გაქოსული (კინოაპარატი „სკოლიკი“, ებიდიასკოპი და ფილმოსკოპი) და პრაქტიკულად უკვე წელია უმოქმედოდა.

გაუწინარის რვაწლიანი სკოლის ფიზიკის მასწავლებელი ა. გოგილია ზერკლე ამოწმებს საშინაო დაკლებას. დავალებად იცემული იყო ძალიან მარტივი ამოცანა სხეულის იმპულსზე. საჭირო იყო იმპულსის ცვლილების განსაზღვრა სისტემაში. გამოიოკვბ, რომ ამოცანა სწორად არ ჰქონდა, ამოხსნილი არც ერთ მოსწავლეს, ამიტომ მასწავლებელი იმტლებული გადა ამოიყანა იგი დაუაათან. ამოხსნა 1) წუთს გავრძელდა, მაგრამ ბოლომდე მაინც არ იქნა გამოყვანილი. სისტემაში მომხდარი იმპულსის ცვლილება, რასაც ამოცანა გვეკითხებოდა, განსაზღვრული არ ყოფილა.

გამოძახებელი მოსწავლე ყველა წინა გაკვეთილის მასალას — „რეაქტიული ძრავები“. იგრძნობა, რომ მას აღნიშნული საკითხი გაზრდილებელი აქვს. გამოძახებულ მოსწავლეს გაკვეთილის მოყოლისა და კითხვებზე პასუხისათვის 15 წუთი დასჭირდა, ხოლო კლასი დროის ამ პერიოდში პასიური იყო და მასწავლებელ-მოსწავლის კითხვა-პასუხის ინერტული მსმენელის როლში გამოდიოდა.

ახლოვებულად ძივდ ნარეობდა მეორე მოსწავლის გამოკითხვა, არც ერთი ძაბვანი მასწავლებელს არ შეუვასებია, ისე გაიატურა ადგილზე. გამოკითხვამ დაგვაოწმენა, რომ კლასმა ცუდად იცის, როგორც გაკვეთილად მიცემული, ისე განვლილი მასალა... ძაგალითაღ, კლასიდან ვერაფერ პასუხობს, თუ რა პოინტებზე მოქმედებს რეაქტიული ძრავები, არ იციან, როგორ მოძრაობას ეწოდება რეაქტიული მოძრაობა, ვერ ასახელებენ ვექტორულ და სკალარულ სიდიდეებს.

ახალი მასალა — „კავშირი სხეულზე მოქმედ ძალასა და იმპულსს შორის“ ახნილ იქნა ყოველგვარი ცდისა და თვალსაჩინოების გამოყენების გარეშე, მხოლოდ, წიგნის ენით. მოსწავლეთა დიდმა ხაწილმა ვერ გიგო ახლახსნილი მასალა. გაუგებრად იქნა მიცემული ძალის იმპულსის ცნება. მისი ვექტორობის საკითხი, აი ყოფილა დადგენილი მისი საზომი ერთეულები.

აღნიშნულ სკოლაში ფიზიკის კაბინეტი ფაქტიურად არ არსებობს. საკლასო ოთახი, რომელიც ფიზიკის კაბინეტად აქვთ წარმოდგენილი, იმით განსხვავდება სკოლაში არსებული სხვა საკლასო

ოთახებისავე, რომ აქ კალოის გასწორივ ვანლაკებუთია კარაიღი
რომლებშიც აწყვია ფიზიკის ხელსაწყო-იარაღები. კარადღის
გახანისას აღმოჩნდა, რომ ივალსაინოვის გამოყენებაზე აქ
ფიქრობს. ხელსაწყოები უწყსრივოდ არის მიყრილ-მოყრილი კარა-
დებში. ბოლო სამი წლის განმავლობაში კაბანეჯი არ ყოფილა შეე-
სებული არაერთად ახალი ხელსაწყო-იარაღებით. ყოველი მოუთ-
მენელ მრგობარეობაშია კაბინეტში არსებული საინვენტარო დავ-
თარი.

დღემდე ფიზიკაში არ ჩატარებულა არც ერთი ლაბორატო-
რიული სამუშაო; არ მუშაობს ფიზიკის წრე. ასეთ ვითარებაში
ფკულტატიურ მეცადინეობაშიც ფორმალური ხასიათი აქვს.

ფიზიკის სწავლების ჯეროვან სიბაღღებო დასაყენებლად
თითქმის არაფერი კეთდება აბაშისპირის რვაწლიან სკოლაში (დი-
რექტორი ს. სანიკიძე, ფიზიკის მასწავლებელი მ. მელაძე).

ქ ი მ ი ა - ბ ი ო ლ ო გ ი ა

აბაშის რაიონის დამოუკიდებელ რვაწლიან სკოლებში გარკვე-
ული ნაკლოვანებანი შეინიშნება ქიმიკ-ბიოლოგიის სწავლებაშიც.
ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზია სათანადო სასწავლო-მა-
ტერიალური ბაზების უქონლობა. ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტ-
ლაბორატორიები, საჭირო ფართის უქონლობის გამო, არა აქვთ
მოწყობილი აბაშისპირისა და ძველი აბაშის რვაწლიან სკოლებს.

აბაშის, გაღწყინარის კვათანისა, და საგეიზაო რვაწლიან
სკოლებში არ ტარდება ბრექტიკულ-ლაბორატორიული მეცადი-
ნეობები, კინო-გაკვეთილები, სადემონსტრაციო ცდები. არ იყე-
ნებენ თვალსაჩინო მასალებს, რის გამოც ეს საგნები ისწავლება
ზეპირსიტყვიერად.

ძველი აბაშის რვაწლიანი სკოლის VII კლასის მაწავლებელი
გრიგოლია მაწილების ფორმულები, შდგენისას ასწავლის დიოქ-
სების ვალენტობის გასაზოვრისათვის პერიოდულობის ტბულის
გაოყნებას, რაც გაუმართლებელია. ამოცანების ამოხსნის ამ სკო-
ლაში ნაკლები ყურადღება ექცევა, რაც იქიდან ჩანს, რომ VIII
კლასში საკონტროლო წერისათვის მიცემული ამოცანა ვერც ერთ
ბავშვს ვერ ამოუხსნია. მასწავლებელი არ იცავს არც პროგრამული
მასალების შესწავლის თანმიმდევრობის პრინციპს.

აბაშისპირის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი ნ. ქორჯა
VIII კლასში საკონტროლო წერიანთვის აძლევს ისეთ თემებს,
რომლებიც არ პასუხობენ პროგრამულ მოთხოვნებს. იგი შემოწმ
ლებად ამჩვენებს მოსწავლეთა ნამუშევრებს. ბაკშვების მიერ შეც-
დომით დაწერილ ფორმულებსა და განტოლებებს არ ასწორებს და
ამის შედეგად შეფასებაც არაობიექტურია.

თითქმის ყველა შესწავლილ რვაწლიანს კოლაშია დაცულია
საკონტროლო წერითი მუშაობის რაოდენობა ქიშიში, მაგრამ
ისინი შესრულებულია დაბალ დონეზე. VIII კლასში ჩატარებული
საკონტროლო წერის თემა არ პასუხობს სასწავლო პროგრამის
მოთხოვნებს.

ქიშის მასწავლებლები არასაკმაო მომთხოვნელობას იჩენენ
მოსწავლეებისადმი, რაც იმაშიც იჩენს თავს, რომ საშინაო დავა-
ლებათა რვეულებში მოსწავლეები არ აკეთებენ ჩანახატებსა და სა-
ჭირო ჩანაწერებს.

საკუთარი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი
უპასუხისმგებლო დამოიდებულებას იჩენს აბაშის რუსული რვა-
წლიანი სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი ლ. ქორჩილავა. იგი
მოუმზადებელი ცხადდება სკოლაში. VIII კლასში თემა, — ნერვული
სისტემის მნიშვნელობა“ მან ახსნა თვალსაჩინოების გარეშე. მიელი
გაკვეთილის მსვლელობაში მოახერხა მხოლოდ 2—3 მოსწავლის
ჩაიმა.

აბაშისპირის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელმა ნ. ქორჯამ
მეხუთე კლასში („კანის როლი სიბოროცეში“) გაკვეთილები ჩა-
ატარა ზე ირსიტევირად, ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე,
ამიტომ მოსწავლეებსაც არაღამაკმაყოფილებლად აითვისეს ახალი
მასალა.

შესწავლილ რვაწლიან სკოლებში სერიოზულ ნაკლოვანებებს
აქვს ადგილი მოსწავლეთა შრიმით სწვლებაში. შ. მამას ასწავლიან
ისეთი საკნების მასწავლებლები; რომელთაც სათანადო ცოდნა

და გამოვიდოდა არა აქვთ. ამ ავანს განათობისკარს 8-წლიან სკოლაში თვით დირექტორი (თილოლოგი გ. ჭანტურია) ასწავლის. სავაზაოს სკოლაშიც საგნის ერთ-ერთი მაწავლებელი ავანსის ფილოლოგია, იქი, სადორგლო სახელოსნოს ისრატი კ. კაჭარავა ფიზკულტურის მასწავლებელია და ა. შ. ამ სკოლის სახელოსნოში არ არის არც ერთი ჩარხი.

გაუწყინარის რვაწლიანი სკოლის სახელოსნოში ოთხი ბაშვის ადგილია. მისწავლეთა რაოდენობა კი 10—15. სასკოლო მიწის ნაკვეთი მოუიღებია და მასზე აკვირ მუშაობა არ ტარდება.

სამუშაო ადგილები საკვარისი არ არის ავანსის ქვედა აბაშის 8-წლიან სკოლაში (სადორგლო სახელოსნოს გავი გ. რუბინია).

აბაშის რუსულ რვაწლიან სკოლაში ცალკე არა აქვს სახელოსნო, იგი მოთავსებულია ფიზიკის სასწავლო კაბინეტში (შრომის მასწავლებელი, ისტორიკოსი ო. საჯავია).

სკოლების ხელმძღვანელები არასაკმაო რაზმარებს და კონტროლს ახორციელებენ მასწავლეთა შრომათ მწავლებლები. ქმედით ზემოებს არ იღებენ ამ მიზნით საჭირო სასწავლო-მატერიალური ბაზის შესაქმნელად. შრომის მასწავლებლად, როგორც ზემო ითქვა, არაიშვიად ჩვედებით შეუფერებელ კადრებს, რადვ ამ საგნის საათებს იყენებენ მასწავლებლის სასწავლო დატვირთვის შესავებად.

პიონერული ორგანიზაციების მუშაობა

აბაშის რაიონის სოფლის დამოუკიდებელ რვაწლიან სკოლებში გარკვეულ მუშაობას ატარებენ პიონერული ორგანიზაციები.

განაილ ბისკარის 8-წლიან სკოლას (დირექტორი გ. ჭანტურია, უფროსი პიონერ-ხელმძღვანელი ა. მ. მინოშვილი) აქვს საკმაო ფართის, დამაკმაყოფილებლად გაფორმებული პიონერთა ოთახი. რაზმეული ატარებს ი. გავარინის სახელს. კარვადია გაფორმებული კოსმონავტიკების კუთხე. რაზმეულს 12 აპრილს ავს თავისი ტრადიციული ღონისძიება, მიძღვნილი გავარინის ხსენისადმი. წესრიგში აქვთ პერსპექტიული, კალენდარული გვერები და ალბომები. სკოლაში შექმნილია ოქტომბრეთა მეკობრობის საჭო, რაზმის ხელმძღვანელთა კლუბი, პიონერული აქტივის სწავლების სკოლა. ჩატარებულ ღონისძიებაზე ალსანიშნავია რაზმეულის შეკრებები, ვიქტორინები, შეხვედრები, საზიკო დილები და სხვ.

პიონერულ ორგანიზაციის ბევრი ღონისძიება ჩატარებული იქნა კომკავშირთან ერთად. დამაკმაყოფილებლად მუშაობენ ვაუწყინარის (დირექტორი ა. ვრიგოლია, უფროსი ბიონერ-მძღვანელი ზ. ბალაუტია), აბაშის (დირექტორი ი. კაჭაია, პიონერ-მძღვანელი ლ. ქორჩილაია) რვაწლიანი სკოლების პიონერული ორგანიზაციები

მაგრამ ამათან, რაიონის სკოლების პიონერული ორგანიზაციების მუშაობაში შეინიშნება მთელი რივი არსებითი ხასიათის ნაკლოვნებანი.

კვათანის რვაწლიან სკოლაში (დირექტორი ლ. ფოჯუა, უფროსი პიონერ-მძღვანელი ლ. ლიპარტიანი) პიონერთა ოთახი სრულიად გაუფორმებელია. არის რაზმების კუთხეები, მაგრამ დაბალხარისხიანი და არასწორადაა გაფორმებული. აქ თითქმის არ იგრძნობა ორგანიზაციის არსებობა.

პიონერ-მძღვანელს არა აქვს პირადი სამუშაო გეგმა. სკოლას აქვს მხოლოდ პერსპექტიული გეგმა და ისიც დაბალხარისხიანად შედგენილია. არა აქვთ არც კლასური გეგმა. როგორც სკამის შესწავლითაც დადასტურდა, ორგანიზაციაში არავითარი მუშაობა არ ტარდება.

ასეთი მდგომარეობის მიზეზი ისიც არის. რომ პიონერული ორგანიზაციის მუშაობაში სრულიად არ მონაწილეობდნენ კლასების ხელმძღვანელები. მათი სამუშაო გეგმები არ შეეც ვენ ღონისძიებებს პიონერულ ორგანიზაციისთან ერთობლივ მუშაობაზე. მეტიც: ეს გეგმები ისე მოუფიქრებლად, კლასის მუშაობის სპეციფიკური პირობების გაუთვალისწინებლად იდება. რომ სწავ კლასების ხელმძღვანელთა გეგმების აღს წარმოადგენენ: ასციეზია, მაგალითად, იმავე კვათანის სკოლის VI, VII და VIII კლასების ხელმძღვანელთა (გ. უჩანეიშვილი, ჯ. თოფურია და ელ. სურგულაძე) სააღმზრდელო გეგმები.

არის შემთხვევები, რომ კლასის ხელმძღვანელი პიონერული ორგანიზაციის მუშაობის სრულ უცოდინარობას იჩენს: მე-5 კლასის ხელმძღვანელს ხ. შომახიას რაზმის ანგარიშგება-არჩევნები გათვალისწინებული აქვს სასწავლო წლის მეორე ნახევარში და ეს მაშინ, როდესაც ასეთი არჩევნები, როგორც წესი, 15-დან 20 სექტემბრამდე ტარდება.

ასეთივე მდგომარეობაშია იმ კლასების ხელმძღვანელთა გეგმებიც, რომელთაც ოქტობრულს ასწავლიან. ისრია ანგარიშები უწყვეტ მოსწავლეთა ასაკს, არ იცავენ პროგრამა „ორინტი“ არანორმალურ პირობებში მუცაობს ახალისპირის მ-წლიანი სკოლის პიზნეროვანიხაცია (დირექტორი ს. საიკიძე, უფროსი პიო ერხელმძღვანელი დ. ჩაჩავა). პიონერთა ოთახი მოაყვებელია პატარა, გადატირულ დეუფთაში და სრულიად გაუფორმე-ღია რაზმულს გათვა-ისწინებელი არა აქვს ღონისძიებაი საკავშირო პიოქოული მარშია „მიად ვარ“ მიადღვიო. მიად პერსპექტიული გეგმიო გათვალისწინებელი საკითხეი არ ეფადება რაძეიასა და რაზმელის კალე დარულ გეგმებს. პიოაერული რაზმება არავის სახელს არ ატარეენ, სკოლაში არ არიო არავი-თარი ტრადიციული ღონისძიებანი, რაზმელის შეკრებები ტარ-დება შემთხვევიდან შემთხვევამდე, სისტემატურად არ გამოდის კედლის გააეთი. ამასთან, რაც გამოემვიოთ, ისიც უვარგისიო. პიოაერელმძღვანელი ნ. ჩაჩავა ვეო ერკვეო პიონერული ორგანი-ზაციის მუშაობაში.

ამ სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის დოკუმენტაცია წესრიგშია. მაგ. ამ თვით საქმე, კ მკავშირული შემართება მუცაო-ბაში არ იგრძობა. არ ჩანს ბრენკა „ლენინერ ჩათვლებზე“.

პიონეროვანიზაციების რაზმებს ზოგჯერ არავიო სახელი არა აქვს მინიჭებული.

არ ტარდება დისპუტები, კონფერენციები, ვიქტორიანები, შეზვედრეი გამოჩენილ ადამიანებთან და ს.ვ.

ხაკლოვანებაში, რომელთაც ადგილი აქვს აბაში რაონის რვა-წლიანი სკოლების პიო ერული ორგანიზაციეის მუშაობაში, იმი-თაც არიო შემბრობებელი, რომ რაიონის პიონერთა საალი (დირექ-ტორი გ. ძველია, მასობრივი მუშაკი ნ. ძველია), რომელიც მე-თოდური ცენტრია ძათი მუცაობისათვის, არადამკმაყოფილებ-ად მუცაოას.

პიონერთა სახლში 10 წრეა, რომელთაც არასპეციილი ტები ხელმძღვანელოენ. მატეოიალური ბაზის თვალსასრისიოთ თუ შეკ-ხედავთ საქმეს, აღმოჩიდება, რომ სახლს აქვს ძა ეოიალური ბაზა, მაგრამ იგი თავის თავის შესაძლებლობებს, შეიძლება ითქვას, ვერ იყენებს. პიონერთა რიონულ სახელს არა აქვს მოწყობილი სან-მუშო პიონერთა ოთახი, რათა სკოლებმა ისწავლონ, როგორი უნდა იყოს იგი,

ერთგვარ დადებით მუშაობას ეწევიან, თავიანთ საქმიანობაში მაინც აქვთ მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი ხაოვებები.

ზოგ სკოლაში ქართული ლიტერატურის წრის სამუშაო გვემკვს აკლიათ კონკრეტულთა; ასე თავალითად, გაუწყინარის რვაწლია ი სკოლის ლიტერატურის წრის (ბელმქლვაეღი ს. გოგიშვილი) სამუშაო გვემკვსი წერია: ჟურნ. „პიანკოში“ გამოქვეყნებული ლექსებისა და მოთხრობების მატერული კვალი. არა ჩანს, რომელი წლის, რომელი № ჟურნალია, რომელი ლექსები და მოთხრობები წაიკითხება და ა. შ.

წრის დღიურები და ჩანაწერები სავსეა ენობრივი ხასიათის უხეშო შეცდომებით. იმავე სკოლის წრის ერთ დღიურში იკითხება: „ბოლოა შეჯამებული სიტყვით გამოვდა ს. გოგიშვილი, რომელმაც შეჯამა წრის მეცადინეობა და შეეხო ძველი ქართული მწერლობის განვითარების და ოქსთაველის მოღვაწეობას“ ააშისაირის რვაწლიანი სკოლის ლიტერატურული წრის ჩანაწერებშია: „შედგა ენისა და ლიტ-ის წრის მეცადინეობა“.

ამავე, აბაშიაიის სკოლაში წრეს შეუდგენია ალბომი, მაგრამ პოეტები და მწერლები მასში შეუტანიათ ყოველგვარი სიატის, პრინციპის გარეშე. ალაოში დაულაგებლად, ერთად არის წარმოადგენილი ყველა დროისა და ყველა ლიტერატურული მიმართულების მწერალი.

არაღმკაპაყოფილებლად მუშაობენ რუსული ენის საგნობრივი წრეები. ამიტომ ისინი ვერ უზრუნველყოფენ მოსწავლეებში საგნის შესწავლის ინტერესს.

უფროსულად მუშაობენ მათემატიკის საგნობრივი წრეები. გეზათის რვაწლიან სკოლაში (დირექტორი მ. ესაკია, მასწავლებელი ი. გიგინიშვილი, წრის სამუშაო გვემკვსი მთელი წლისათვის არის შედგენილი. წრეში გაერთიანებულია IV, V, VI VII და VIII კლასების მოსწავლეები. იგი გ. ყ. ფილი უნდა იყოს ორად—ცალკე IV, V, VI და ცალკე VII, VIII კლასების მოსწავლეთათვის. წრეს მოუმზადებია ბიულეტენი „ნორჩი მათემატიკოსი“, მაგრამ იგი ისე მალადა გაკრული კედელზე, რომ მას წმინდა ფორმალური დოკუმენტის ხასიათი ენიჭება.

სკოლებში სუსტად არის გაშლილი წრეობრივი მუშაობა ფიზიკაში. იშვიათია კარგად დამუშავებული მასხენებები, თვითნა-

კეთა ხელსაწყო-იარაღა და სხვა, რაც ფიზიკის შესწავლით მასწავლებელთა და უნივერსიტეტების ერთ-ერთი მიხეტი იდქა.

რაიონის რვაწლიან სკოლებში არ არის შექმნილი საგნობრივი წრეები.

ჩვენს მათ შესწავლილ ყველა სკოლაში მოქალაქეებელია „ნორჩა ნატუალისტა წრეები“, მ.გ. ამ მათ ძუშაობას მეუად პრაქტიკული სასიათი აქვს და ნაკლები ყრადღება ექცევა თეორიულ ძუშაობებათა დაქმნევებას. წოთს სამქმნი. გვემძი გათავლიაქმნიტელი არ არის სათ. რკანიზაციო სასიათის საკითხები.

მასწავლებელთა შორის მეთოდოკტორი მუშაობის ზოგი საკითხის შესახებ

სოფლის რვაწლიან სკოლებში მასწავლებელთა შორის მეთოდურ მეძაობას ეთავჯობი საკითხიკტორი სასიათი აქვს. საქმის აოთს, თომ ამიოად არ გვედქა სკოლები, სადაც ეოთი დაიგივე საგნის თამდენიმე (სამი თ სა.ზე მეტი) მასწავლებელი მეშაობდეს. ამია გამო არ ეყოდქა მეთოდოკტორიანებები და მასწავლებელთა შორის მეთოდოკტორი მეშაობის თოი გზა რჩება: ინდივიდუალური და თომქმნი ძალობელი საშუალო სკოლის სათაბადო მეთოდოკტორიანებათი მონაწილეობა. ამ მთოვე, ასეთი ძდგომარეობაა აბაშის რაიონის სკოლებშიც.

სამქუთაროდ, შესწავლილ სკოლებში მასწავლებელთა შორის მეთოდური მეშაობა ფოოძალურ სასიათს ატოკის და ვერ ასრულება თანამედოროვეოთის გაზოდოლ მოთხოვეს, წაყენებქლს ასეთი საქმიანობიადმი: არაიქიათად ისინი, ვინც თოიქოს ინდივიდუალურად მეშაობს თავისთაზე, არავერს არ აკეთებქნ თავიანთი კვალიფიკაციის ასამაღლებლად; მეზოელი საშუალო სკოლების მეთოდოკტორიანებების მეშაობაში მწლიანი სკოლების მასწავლებლები არ არიან ჩამქლნი.

ასეთი ძდგომარეობა გამიწვეულია იმით, რომ რაიონის განათლების განყოფილების მეთოდოკტორი კაბინეტი, შტაბი მასწავლებელთა შორის მეთოდოკტორი მეშაობისა (გამკვე ნადარაბია), სკოლებისა და მეთოდოკტორიანებებთა ხელმძღვანელები არ ასრულებქნ საქარეველოს სსრ განათლების მინისტრის 19/1 წლის 23 აგვისტოს № 4ა3 ბოძანებას „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა მეთოდოკტორი მეშაობის შესახებ“ და ამ საკითხზე ბრძანებაზე დართულ საინსტრუქციო მეთოდოკტორ წერილს.

რაიონში თითქმის არაფერი კეთდება სასკოლათაშორის
 მეთოდგაერთიანებათა შესაქმნელად და მათი მუშაობის ფე-
 სიპალეზე დასაყენებლად სანიმუშოდ აქ მოიტანო ე-
 ლათს: გაუწყინარის 3-წლიანი სკოლა ტერიტორიულად ეახლება
 პირველი მაისის საშუალო სკოლას. გაუწყინარის რვაწლიან სკო-
 ლასთან ახლოსაა ქვიშაწკალის დამოუკიდებელი დაწყებითი, ხოლო
 თვით 1-ლი მაისის საშუალო სკოლასთან — ხმელარის დაწყებითი
 სკოლა. ასე რომ, პირველი მაისის საშუალო სკოლასთან უნდა
 მოწყობილიყო სასკოლათაშორისო მეთოდგაერთიანებანი. რომლებ-
 შიც შევიდოდნენ ზემოხსენებული დამოუკიდებელი დაწყებითი და
 რვაწლიანი სკოლები. ასეთივე როლი უნდა დაეკისრებინა განათ-
 ლების განყოფილებას და მეთოდკაბინეტს სხვა საშუალო სკოლებისა-
 თვის. იმ ხაქმში ერთგვარი გარკვეულობისა და სინათლის შეტა-
 ნისათვის შეიძლება პირდაპირ ჯერ სკოლების მიხედვით, შემ-
 დგე კი ერთი რაიონული სქემაც შეედგინათ, ასე მაგალითად:

განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტი

პირველი მაისის საშუალო სკოლა

გაუწყინარის 8-წლიანი სკოლა ხმელარის დაწყებითი სკოლა

ქვიშაწკალის დაწყებითი სკოლა

ასეთ სასკოლათაშორისო მეთოდგაერთიანებაში უნდა გაიშა-
 ლოს ფართო მეთოდოლოგიური მუშაობა: მაღალ მეცნიერულ და პედა-
 გოგიურ-მეთოდოლოგიურ დონეზე დამუშავდეს მოსწავლეთა სწავლებისა
 და აღზრდის აქტუალური საკითხები, წაკითხულ იქნეს მოხსენე-
 ბები. ლექციები უმნიშვნელოვანეს პედაგოგიურ-მეთოდოლოგიურ ხასია-
 თის თემებზე, ჩატარდეს სასკოლათაშორისო და გაკვეთილები,
 მოაწყოს მათი გახლვა და სხვ.

ზოგ სკოლაში მეთოდგაერთიანების სამუშაო გეგმები მოუ-
 ფიქრებლად და სავნის სწავლების საჭიროების გათვალისწინებ-
 ლად დგება. ამიტომ დასამუშავებელი რეკეზები ზერეულდ არის
 შერჩეული: გაუწყინარის რვაწლიანი სკოლის ქართული ენისა და
 და ლიტერატურის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებათა გეგმაში
 შეტანილია ასეთი საკითხები „პერიოდული მეთოდური ლიტერა-

ტურის განხილვა“ (კონკრეტულად არა ჩანს, სახელდობრ პერიოდული ლიტერატურიდან რა მასალა იქნება განხილული)... იგივე საკითხია აგრეთვე შეტანილი კლასის ხელმძღვანელთა მეთოდებში თიანების გეგმაში... ამ გეგმების ავტორებს მხედველობაში აქვთ სათანადო შინაარსის მეთოდოლოგიური სტატიები, რომლებიც პერიოდულ პრესაში გამოქვეყნდება; მაგრამ შეიძლება საერთოდ არ დაიბეჭდოს ასეთი სტატიები. რად გვინდა მანამდე ვუწოდოთ ბავშვს აბრამი, სანამ ის არ დაბადებულა!..

არის შემთხვევები, როცა მასწავლებლის მიერ არჩეული თემა აქტუალურია, მაგრამ იგი კარგად არ არის დამუშავებული: იმავე სკოლის მასწავლებელ მ. გოვიშვილის თემა — „როგორ ვმუშაობ მოსწავლეებთან წიგნისადმი ინტერესისა და სიყვარულის გამომუშავებისათვის“ საერთოდ ცუდად როდი აქვს დამუშავებული, მაგრამ არაფერი აქვს ნათქვამი თვით წიგნის გაცნობაზე (სახელწოდებაზე, გარეკანზე, სატიტულო ფურცელზე და სხვ.), მასზე მუშაობის მეთოდებსა და ხერხებზე.

მეთოდგაერთიანებათა სხდომებზე გამოსულ მასწავლებელთა ნაშრომებში არა ჩანს პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიური ლიტერატურის ღრმა ცოდნა; თითქმის არაფრით აგრძნობა ამ აუცილებელ ლიტერატურასთან ავტორის დამოკიდებულება. ნათლად არ არის გამოკვეთილი ის შეხედულებანიც, რომელთაც ავითარებს ავტორი.

სკოლის ხელმძღვანელობის უპირველესი საზრუნავი

სასკოლო საქმიანობის ორგანიზებულად წარმართვა ვერ წარმოიდგინება წინასწარ კარგად მოფიქრებული, საპერსპექტივო მუშაობის დასაბუთებული, მეცნიერული განკვეთის გარეშე. ამიტომ რთული სასკოლო მუშაობის სხვადასხვა მხარის მაღალ დონეზე დაგეგმვის უზრუნველყოფა სკოლის ხელმძღვანელობის უპირველესი საზრუნავია. იმაზე, თუ რამდენად სწორად, სკოლის მუშაობის რეალური პირობებისა და სასკოლო საქმიანობის შედეგების გათვალისწინების გზით იგეგმება ეს მუშაობა, ბევრად არის დამოკიდებული სკოლის მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის დონე.

ამ თვალსაზრისით თუ გადავხედავთ აბაშის რაიონის დამოუკიდებელ რვაწლიან სკოლებს, გარკვეულ ხარვეზებს შევნიშნავთ:

გაუწყინარის რვაწლიანი სკოლის წლიური სამუშაო გეგმა შეიცავს სკოლის მუშაობის თითქმის ყველა ძირითად საკითხს. მის „შესავალში“ დავიწყებულია მთავარი: ყურადღება გამახვილებული იმ ამოცანებზე, რომლებიც სოფლის სკოლის წინაშე არის დასახული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იმავე წლის 4 სექტემბრის დადგენილებებში და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს იმავე წლის 4 სექტემბრის ბრძანებასა და მათ შესასრულებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 5 ნოემბრის № 767 ბრძანებაში.

გეგმის ამ ნაწილში არ ჩანს 1973—1974 სასწავლო წელს სკოლის მუშაობის ძირითადი მიმართულებანი, განსაზღვრული საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ გამოცემული შესაბამისი სახელმძღვანელო დოკუმენტით.

ამრიგად, სკოლის წლიური სამუშაო გეგმის „შესავალი“ ნათელ წარმოდგენას ვერ გვაძლევს სკოლის მიერ გასულ სასწავლო წელს მიღწეულ წარმატებებზე, ერთი მხრივ, მათ გვერდით შემჩნეულ ჩრდილოვან მხარეებზე მეორე მხრივ, და ახალ სასწავლო წელში მათგან გამომდინარე ამოცანებზე, შესამე მკრივ.

ანალოგიური ნაკლოვანებანი ახასიათებთ აგრეთვე აბაშისპირის, ძველი აბაშის, განათლებისკარისა და ზოგ სხვა ჩვენ მიერ შესწავლილი სკოლების წლიურ სამუშაო გეგმებს.

სკოლების წლიურ სამუშაო გეგმებს აკლიათ კონკრეტულობა. მათში საკითხები ზოგადად არის ფორმულირებული და ზოგჯერ გაურკვეველიც კია, სახელდობრ, რის განხორციელებას ისახავს მიზნად მათი შემდგენელი.

ანალოგიური ნაკლოვანებებით ხასიათდება პედაგოგიური საბჭოს გეგმები. ზოგჯერ აშკარა პედაგოგიური წუნისა და შეცდომის დაშვების შემთხვევებს აქვს ადგილი პედსაბჭოს ოქმებში; ასე მაგალითად, აბაშისპირის რვაწლიანი სკოლის (დირექტორი ს. ს. ნიკიძე) პედსაბჭოს ერთ-ერთ ოქმში იკითხება: „პირველ კლასიდანვე შეასწავლონ მოსწავლეებს მარქსიზმ-ლენინიზმის ფილოსოფიის დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ცნებები, რომ მოზარდი თაობა იყოს საწმობლო მოყვარული, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, ჰუმანისტი და დღენიადგ ახლის მაძიებელი“. ოქმში ვხვდებით ლოგიკური თვალსაზრისით

საცილობელი შინაარსის დებულებებს: „მისწავლებელი ლ. თხიგაჯა
კარგად მუშაობს, მაგრამ მის მუშაობას ნაყოფი არა აქვს (!).“

ნაკლები ყურადღება ექცევა კლასის ხელმძღვანელთა მშროდლო გეგმების ჯეროვნად შედგენას; მათში არ იგრძნობა კლასის მუშაობისადმი შემოქმედებითი მიდგომა. ყველა კლასის გეგმა თითქმის ერთნაირად დგება და ზოგჯერ აშკარად შეინიშნება ამ გეგმის გადაწერის შემთხვევებიც.

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს შეიცავს მშობელთა კომიტეტის სამუშაო გეგმებიც. არაიშვიათად ვხვდებით უხეშ ენობრივ შეცდომებს; ასე მაგალითად, ვანათლებისკარის მშობელთა კომიტეტის გეგმაში წერია: „ჩაბმული იქნას მშობლები სკოლის სამეურნეო და სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების, კეთილმოწყობისა და სამეურნეო და სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების, კეთილმოწყობისა და მასში ნორმალური სანიტ-ჰიგიენურ ორგანიზაციაში“.

არადამაკმაყოფილებლად არის შედგენილი ბიბლიოთეკების სამუშაო გეგმებიც. მაგრამ პირველ რიგში ის უნდა ითქვას, რომ ძალზე ღარიბია ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი ყველა შესწავლილ სკოლაში. აქ ვერ ნახავთ ვერც მისწავლებელთა და ვერც მოსწავლეთათვის აუცილებელ ლიტერატურას. საქმე იქამდე მიდის, რომ ბიბლიოთეკებს არა აქვთ თვით რუსთაველის, დ. გურამიშვილის, ნ. ბარათაშვილის. ილიას, აკაკის, ვაჟასა და გალაკტიონის თხზულებაც კი; არა აქვთ ქართული ენის განმარტებითი და ორთოგრაფიული ლექსიკონები, რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონები და სხვ.

ამჟამად, როცა მთელ ჩვენს უკიდევანო ქვეყანაში გჩაღებულა მუშაობა სოფლის სკოლების მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად ასეთი მდგომარეობის გაგრძელება ყოვლად შეუძლებელია.

**შინასასკოლო კონტროლი—საქმის წარმატების უტყუარი
ს ა წ ი ნ დ ა რ ი !**

შინასასკოლო კონტროლის, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სახელმწიფოებრივი კონტროლი პირველადი ფორმის,

მნიშვნელობა არავისათვის საეკვო არ არის. ამასთან, შესაძლოა ითქვას, რომ იგი სკოლის, როგორც იდეოლოგიური მუშაობის ყველაზე რთული უბნის, აქილევსის ქუსლია შინასასკოლო კონტროლის საკითხი ჩვენ სწორად ამ კრილში გვინდა განვიხილოთ.

არაიშვიათად გვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც გაკვეთილის სწორ, მიზანმიმართულ, პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით დაწერილ ანალიზს ცვლის მისი მშრალი, არაფრისმთქმელი აღწერა, მისი პოზიცია „ანალიზიდან“ არა ჩანს, რომელ საგანში რა დროს რა რაში დაიმსახურა მოწონება. თუ შენიშვნა მასწავლებელმა, როგორ აწორებს იგი მათ და როგორ იზრდება იგი, როგორც სპეციალისტი და პედაგოგი. გაკვეთილის ანალიზებში გარკვეულად არ ჩანს გაკვეთილზე დასწრების მიზანი... მათში ხშირად გვხვდება არა უბრალო, ეობრივი ლაფსუსები, მართლწერის წესების უცოდინხაროით გამოწვეული, არამედ საქმის შინაარსი, ძთელი წინადადებები ისეა გადმოცემული, რომ აზრიც კი ძნელად ასაგები ხდება.

ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია, ერთი მხრივ, თვით სკოლების ხელმძღვანელთა პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიური კულტურის, მათი მომზადების დაბალი დონით, მეორე მხრივ, მიუღობილი საქმისადმი უპასუხისმგებლობით. საქმე ის არის, რომ სკოლის ასეთი ხელმძღვანელი მუთაკი გაკვეთილის მოსმენამდე კონკრეტულად არ განსაზღვრავს დასწრების მიზანს, წინასწარ არ ეცობა მოსასმენი გაკვეთილის წინა და ახალ მასალას, გაკვეთილის გეგმას, სასწავლო პროგრამას (არ იცის, რა დროს რა მასალას უნდა სწავლობდეს კლასი) მასწავლებლის მუშაობისადმი, გაკვეთილის მოსმენისადმი ასეთი ფორმალური დამოკიდებულების შედეგია ის, რომ იგი კლასთან მუშაობას ისეთ მასალაზე, რომელიც პროგრამით არ ისწავლება. თუ არა საქმისადმი ასეთი დამოკიდებულებით, აბა რით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ აბაშისპირის რვაწლიანი სკოლის ქართულ ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მ. თევდორაძე კლასს ისეთ მასალას ასწავლის (სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები), რომელიც პროგრამით არ ისწავლება. ამასთან, საოცარია, რომ ეს ხდება სკოლაში, სადაც სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე თ. გადელია ამ საგნის სპეციალისტი.

ერთი სიტყვით, სკოლების ხელმძღვანელთა დიდი ნაწილი ფორმალურად ეკიდება შინასასკოლო კონტროლის ერთ-ერთ ძირითად ფორმას—გაკვეთილის მოსმენას; ზერელედ, საქმეში ჩაუხედავად ასრულებს თავის ამ უპირველეს მოვალეობას და იძლევა გაკვეთილის არა კრიტიკულ ანალიზს, არამედ მხოლოდ ემპირიული სინამდვილის უწყინარ აღწერას.

აქვე უნდა ითქვას, რომ შინასასკოლო კონტროლის სხვა ძირითად მეთოდებს—საკონტროლო წერათი ნამუშევრების ანალიზს, მასწავლებელთა გამოკითხვას და მათი ცოდნის შეფასებას, სასკოლო დოკუმენტების წარმოებას შესწავლილ სკოლებში არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება.

ამრიგად, შინასასკოლო კონტროლს—სასკოლო საქმის წარმატების ამ საწინდარს დღემდე არ ექცევა მისთვის შესაფერისი ყურადღება.

* * *

რაიონის სოფლის რეაწლიანი სკოლების მუშაობაში შემჩნეულმა ნაკლოვანებებმა განათლების სამინისტროს ბრიგადა, მისი წინასწარი გეგმის წინააღმდეგ, მიიყვანა გადაწყვეტილებამდე, რომ შეესწავლა რაიონული ცენტრის იმ საშუალო სკოლის მუშაობაც, რომელსაც განათლების განყოფილება და მისი პედაგოგიური კაბინეტი იყენებენ რაიონის მასწავლებელთა შეკრებების, მეოთხური თათბირების მუშაობის, მოწინავე გამოცდილების განზოგადებისათუ სხვა შემთხვევაში. ჩვენი მიზანი იყო, გავვეგო, რამდენად შეიძლება მისი გამოყენება, ასე ვთქვათ, საყრდენ, საჩვენებელ სკოლად.

ასეთი დანიშნულების სკოლად გამოყენებულია აბაშის 1-ლი სკოლა (დირექტორი ა. თოფურია—ფილოლოგი, მისი მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მ. ბურსულაია—ფილოლოგი).

სკოლას აქვს რამდენადმე მოსათმენი სასწავლო-მატერიალური და ტექნიკური ბაზა, მაგრამ იგი არ კმარა იმ ყოველდღიურად მხარდი თანამედროვეობის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად

რომელთაც ცხოვრება აყენებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წინაშე, რომელსაც ვაკისრებთ სანიმუშო, მაგალითის მოძებნი იყავს სხვებისათვისაც.

ვნახოთ, მოკლედ, როგორ გამოიყურება ამ თვალსაზრისით ეს სკოლა.

ამ სკოლის დაწყებითი კლასების დედაენის ზოგი მასწავლებელი აშკარად არადამაკმაყოფილებლად ასრულებს თავის მოვალეობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ისინი ნაკლებად ზრუნავენ მოსწავლეებში სწორად, სუფთად, ლამაზად წერის ცოდნა-ჩვევების განსამტკიცებლად.

აბაშის 1-ლი სკოლის III კლასის მასწავლებელ ნ. გრიგოლავას მოსწავლე ნ. გ.-ს ნაწერში შეცდომების გასწორებაში ისევ შეცდომა აქვს დაშვებული, მაგრამ მასწავლებელს იგი არ შეუნიშნავს: „გუშობდა“, „შინარსი“, „ვახტანგმა ამ თბილის უნოდა“, „შავარდენი ხობები მონადირა“ და სხვა. ამავე მასწავლებელს მ. ჯანელიძის ნაწერში ვერ შეუნიშნავს შეცდომით დაწერილი სიტყვები: „ცოტნე“, „გლიეზობამ“, „ჭყუჭყიანი“, „სპარცეთი“ და სხვა. მოსწავლე ზ. კეკელიას შვიდჯერ აქვს გამეორებული „შიცტომების გასტორება“, მასწავლებელს კი იგი არც ერთხელ არ შეუნიშნავს.

შეცდომები შეუნიშნავია აგრეთვე მასწავლებელ მ. თოფურიას მოსწავლეთა წერით ნამუშევრებშიც (რცხელა, უთთხელ, წინად, ბეჯჯერ. არმის). შეცდომებია გაპარული აგრეთვე სიტყვების გადატანაში (ფოთლე-ბზე, სამშობლ-ოს...).

რა შეიძლება ისწავლოს ბავშვმა ისეთ ვითარებაში, როცა შეცდომები არ სწორდება და კვლავ იმეორებს მათ.

პროგრამული მასალის საფუძვლიანი ცოდნა გამოამქლავნეს აბაშის 1-ლი საშუალო სკოლის მოსამზადებელი კლასის მოსწავლეებმა მათემატიკაში (მასწავლებელი ც. მეგენიშვილი). ისინი კარგად ფლობენ შეკრება-გამოკლების ცხრილს 10-ის ფარგლებში, შესწევთ უნარი ერთი და იგივე მაგალითი წაიკითხონ სხვადასხვა ვარიანტში, იციან ორნიშნა რიცხვების ათობითი შედგენილობა, შეგნებულად ფლობენ მოქმედების კომპონენტთა შორის დამოკიდებულებას და მის საფუძველზე ახერხებენ უცნობი კომპონენტის განსაზღვრას.

მასწავლებელს, საერთოდ, საინტერესოდ და შინაარსიანად მიჰყავს გაკვეთილი. დაფასთან გამოძახებულ მოსწავლეს კონტროლს

უწევს თვით მასწავლებელი. კლასი კი ამ დროს დამოუკიდებელი
ასრულებს ამ სამუშაოს. საჯულისხმია ის ფაქტი, რომ გამოძახებულ-
ლი მოსწავლეები მაგალითებს მსჯელობით ხსნიან და ასაბუთებენ
კიდევ მის სისწოლეს.

გაკვეთილზე შეადგინეს და განტოლების საშუალებით ამოხ-
სნეს ამოცანები, ივარჯიშეს გეომეტრიულ მასალაზე. მასწავლებელ-
ი ითვალისწინებს ამ ასაკის ბავშვთა ინდივიდუალურ თავისებუ-
რებებს, მიზნობრივად ატარებს დიდაქტიკურ თამაშს გაკვეთილზე.

დამაკმაყოფილებლად არის დაუფლებული დაწყებით კლასებ-
ში სწავლების მეთოდებს ამ სკოლის II კლასის მასწავლებელი
ც. ბოკუჩავა. იგი ზრუნავს მოსწავლეთა აზროვნების განვითარებ-
ისათვის, ახერხებს გაკვეთილზე მუშაობაში მოსწავლეთა უმრავლეს-
ობის ჩაბმას. მოსწავლეებისაგან იგი შიითხოვს გაანარებულ, შეგ-
ნებულ ცოდნას, გაკვეთილზე სათანადო ყურადღებას უთმობს
ზეთიო სავარჯიშოებს, ნერგავს მოსწავლეებში დამოუკიდებელი
მუშაობის ჩვევებს.

გაკვეთილზე მოსწავლეებმა მოცემული ცბრილის მიხედვით
შეადგინეს და სათანადო ახსია-განმარტებით ამოხსნეს მათთვის საკ-
მაოდ რთული განტოლებანი, გამოიანგარიშეს მარკუთხედისა და
ტოლფერდა სამკუთაედის პერიმეტრი. დამოუკიდებელი სამუშაო,
რომელიც კლასს მიაეცა, დროის ძალზე მცირე მონაკვეთში შეას-
რულეს მოსწავლეებმა.

აბაშის 1-ლ საშუალო სკოლაში გარკვეული წარმარტებები
მოპოვებული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში.
ამასთან ერთად, ამ საგნების სწავლებაში შეინიშნება ძიელი რიგი
არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები და ხარვეზებიც.

VI კლასის მასწავლებელი თ. კაჭაია არ ზრუნავს მწერ-
ლის ბიოგრაფიის სწავლებისას დამატებით სანტერესო მასალების
შერჩევაზე და ამ გზით საგნის შესწავლით მოსწავლეთა დასაინ-
ტერესებლად; მეტიც: იგი საკმაო ყურადღებას არ აქცევს თვით იმ
მასალის ჯეროვან შესწავლას, რომელიც სახელმძღვანელოშია მო-
ცემული.

მის. ჯავახიშვილის ბიოგრაფიაში მოცემული მასალა ცოდნის,
სწავლა-განათლების შექმნისადმი მომავალი მწერლის დაუოკებელი
სწრაფვის შესახებ მასწავლებელმა ვერ გამოიყენა მოსწავლეებში
შესაბამის გრძნობათა აღსაზრდელად; არაფერი თქმულა წინამძღვრი-
ანთკარის სკოლის როლისა და მასზე ძლია ჭავჭავაძის შეხედულებ-
ათა შესახებ.

მწერლის ოჯახის უბედურება—მისი დედისა და დის ტრაგიკული დაღუპვა მასწავლებელმა ვერ გამოიყენა აღმზრდელობით, მიზნისათვის.

ამასთან, უნდა მივუთითოთ ვაკვეთილის სხვა ხარვეზზედაც: მოსწავლეებს წარმოდგენა არა აქვთ საქართველოს გეოგრაფიაზე, მის ძველ და ახალ ადმინისტრაციულ დაყოფაზე. მათ არ იციან, სად მდებარეობს ქართლი, ბორჩალო (რომელი რაიონია ამჟამად იგი), ლორე, წინამძღვრიანთქარი და სხვ. ამის გამო, აქ უკვე აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ წარმოდგენა არა აქვთ იმ ადგილებზე, სადაც ცხოვრობდა და სწავლობდა მწერალი (ყირიმი, საფრანგეთი, ბელგია და შვეიცარია).

მასწავლებელი ვაკვეთილზე არ იყენებს თვალსაჩინოებას, კლასის წინაშე სვამს პედაგოგიური თვალსაზრისით გაუმართლებელ კითხვებს— „შეძლო თუ არა .მის. ჯავახიშვილმა სასწავლებლის დამთავრება?“, „დარჩა თუ არა თავის სოფელში სასწავლებლად?“ და სხვ.

მასწავლებელი თ. კაჭარავა არ ასწორებს მოსწავლეთა მეტყველებაში დაშვებულ შეცდომებს; ასე მაგალითად, მას შეუმჩნეველი დარჩა: „მის. ჯავახიშვილი დააჯილდოეს წითელი შრომის ორდენით“ „იგი დააჯილდოეს პუშკინის მედალით“ „სხვადასხვა ნივთებით“, „არსენა ვაჟკაცურადაც კარგი ვაჟკაცი იყო“. მოსწავლეებმა არ იციან სხვადასხვა სახის კითხვითი წინადადების წარმოთქმის წესი და სხვა.

თქმა არ უნდა, ამგვარად ნასწავლები ბიოგრაფია ვერ განახორციელებს საკანმანათლებლო-აღმზრდელობითს ამოცანებს, ვერ შეასრულებს მოსწავლეთა პატრიოტული, იდეურ-პოლიტიკური აღზრდის როლს, მწერლისა და მისი ნაწარმოების შესწავლისადმი ინტერესის აღზრდის როლს.

იგივე მასწავლებელი თ. კაჭარავა მხატვრულ ლიტერატურას ვერ იყენებს მოსწავლეებში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ფორმირების, მათში გონებრივი, ესთეტიკური, ანტირელიგიური და შრომითი აღზრდის მიზნით; მასწავლებელმა ისე გაამეორებინა კლასს ილ. ჭავჭავაძის „კაც-ადამიანი?“, რომ არაფერი თქმულა ლეარსაბ თაიქარიძის, როგორც ექსპლოატატორული კლასის წარმომადგენლის შესახებ, ყმა-კლევებისადმი, შრომისადმი, სწავლისადმი, რელიგიისადმი მის დამოკიდებულებაზე. არ გამხვილებულა მოსწავლეთა ყურადღება ქართული ენისა და ლიტერა-

რის თეორიის ისეთ საკითხებზე, რომელთაც აგრეთვე უმჯობესად აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ.

ამასთან, მასწავლებლის მიერ კლასის წინაშე უსისტემოდ დამატებული თანაც ენობრივად გაუმართავი კითხვები: „სად იდკა ლუარსაბის სახლ-კარი“, „რა დამხმარე ნაგებობანი იდგა ეზოში“, „როგორი იყო ეზო“, „ვინ მეტყვის ლუარსაბის პორტრეტს“, „ლუარსაბის შეხედულებას ვინ მეტყვის სწავლაზე“, „როგორი ნაწარმოებია „კაცია-ადამიანი?!“ და „რას ეწოდება სატირული ნაწარმოები“ სრულიადაც არ კმარა მნიშვნელოვანი მასალის გასამეორებლად.

მასწავლებელი თ. კაჭარავა რაციონალურად ვერ იყენებს გაკვეთილის დროის ბიუჯეტს: იგი ცდილობს ყველაფერი მოასწროს, მაგრამ, გაკვეთილის დაბალ დონეზე მომზადების გამო, ამას ვერ ახერხებს: იძულებულია კლასს ზერელედ შეასწავლოს მასალა. ეტყობა, მასწავლებელი ივიწყებს ა. დისტერგევის დიდ-მნიშვნელოვან პედაგოგიურ დებულებას: „უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს ერთი და იმავე საგნის განხილვას ათი სხვადასხვა მხრიდან, ვიდრე ათი სხვადასხვა საგნის სწავლებას ერთი მხრიდან. ცოდნის რაოდენობაში კი არ არის განათლება, არამედ ყოველივე იმის სრულ გაგებასა და ოსტატურ გამოყენებაში, რაც იცო“.

მასწავლებელი გაკვეთილზე უყურადღებოდ ტოვებს ზოგ მოსწავლეს. ეს მათ შეუჩნეველი არ რჩებათ და იშვიათად, მაგრამ მაინც არღვევენ დისციპლინას.

მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში მასწავლებელი თ. კაჭარავა ზოგ შეცდომას შეუმჩნევლად ტოვებს და ნაწერს ზედმეტი ნიშნით აფასებს. იგი არ იყენებს წერითი მუშაობის ყველა სახეს და ამ მხრივაც გარკვეული ნაკლი აქვს განათლების სამინისტროს ცნობილი მითითებების „ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერიითი მუშაობის სახეების, რაოდენობისა და შეფასების ნორმების შესახებ“ შესრულებაში.

კარგად მუშაობს VI² კლასის მასწავლებელი ე. ჩიქოვანი. ამ კლასის 26 მოსწავლიდან ხუთი შეფასებულია „5“-ზე, 12—„4“-ზე, დანარჩენს კი „3“ აქვს (მასწავლებლის ობიექტურობასა და შეფასების უნარში ეჭვი არ გვეპარება). მაგრამ მაინც გვინდა მივუთითოთ მასწავლებელს გაკვეთილის ზოგ ნაკლზე:

VI² კლასში გაკვეთილზე მასწავლებელმა მიმართა მოსწავლეებს—გადმოეცათ ის ცვლილებანი, რომელთაც ამჩნევდნენ გაზაფხულის მოახლოებათან დაკავშირებით. პასუხად მიიღო, რომ

დღემ იმატა, მზე უკვე მეტად ათბობს, ნიადაგი თბება, იამ და
ენძელამ ჯერ კიდევ ადრე იგრძნო გაზაფხულის მოახლოება და
ამოვიდა. იფურჩქნება სხვა ყვავილებიც, მცენარეები ყვავილობს და
მწვანით იმოსება (აქ მასწავლებელმა მოაგონა კლასს ცნობილი
ხალხური ლექსის სტრიქონები: „თებერვალი დადგაო, ხეში წყალი
ჩადგაო...“), თბილი ქვეყნებიდან ჯერ კიდევ არ დაბრუნებულან
ფრინველები, მაგრამ გაზაფხულის მოახლოებას შაში გრძნობს და
უფრო საამჟრად სტვენს, მინდვრად უკვე იწყება ხენა-თესვა.

ამ შთაბეჭდილებათა გადმოცემის შემდეგ მასწავლებელი
შეეკითხა კლასს: „რას უსურვებთ გაზაფხულსო?“ პასუხად მიიღო:
„მობრძანდეს“ და „გაგვხაროსო“. აქ დაისვა წერტილი და მოს-
წავლევს მიეცათ დავალება— ე. წ. საკლასო სამუშაოთა რვეულებში
დაეწერათ თემა „გაზაფხული მობრძანდება“.

სწორედ აქ გვინდა ზოგ იმ დეტალზე მივუთითოთ, რომელ-
ზედაც კფიქრობთ, საჭირო იყო შეჩერება: მასწავლებელს უნდა
გაემახვილებინა მოსწავლეთა ყურადღება იმაზე, თუ რა სახის სა-
სოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულება იწყება გაზაფხულზე
საერთოდ და მათ რაიონში კერძოდ, რა ღონისძიებანი ხორციელ-
დება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მითითებათა
შესასრულებლად, ქვეყანაში მწვანე ზოლის შესაქმნელად, რას
აკეთებს საბჭოთა ხალხი ჰაერის გაქუჩყიანების წინააღმდეგ,
რა მუშაობა ტარდება ამ მიმართულებით ჩვენს რესპუბლიკაში
(მოეგონებინა მოკლე, რა ღონისძიებანი ხორციელდება ბორჯომის
ტყეებში ლაფანჭამიას გასანადგურებლად, აქვე გაემახვილებინა ყუ-
რადღება ბორჯომელ და ფოთელ პიონერ-მოსწავლეთა პატრიოტულ
საქმიანობაზე ამ მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში და სხვ.);
მიეთითებინა მთსწავლეებისათვის, რომ გაზაფხულს მარტო ია-ვარ-
დი, სასიამოვნო ფრინველები კი არ მოჰქვება, არამედ ჩნდება სა-
რველები, მავნე მწერებიც, რომელთა განადგურებით კიდევ უფრო
მშვენიდება და ლამაზდება ისედაც სილამაზითა და მშვენიერებით
შემკული სამყარო, გაეხსენებინა მოსწავლეთათვის ჩვენი ხალხის
ანდაზა, რომ „გაზაფხულის ერთი დღე მთელ წელიწადს კვებავსო“,
შესწავლილი ლიტერატურული მასალიდან მოეგონებინა, ერთი
მხრივ, ვუთნის დედისა და ლაბა ხარის და, მეორე მხრივ, ტრაქ-
ტორისტისა და ტრაქტორის მუშაობა, დარეჯანისა და ლუჩასაბი-
საგან დაწოკებული მოსამსახურე გოგო-ბიჭება და ჩვენი დღე-



ვანდელი საბჭოთა ახალგაზრდების მდგომარეობა, მოეცა ვაჟა-ფშაველას „ბუნების მგოსნები“, „ია“ და სხვა.

ჩვენ, უბრალოდ, არ გვსურს „გადავტვირთოთ“ გაკვეთილი ამგვარ დეტალებზე შეჩერებით: ჩვენის აზრით, მითითებულ საკითხებზე ყურადღების გამახვილება სრულიად სხვა ელფერს მისცემდა გაკვეთილის იდეურ-პოლიტიკურ მიმართულებას (რა უჭირს, რომ ეს VI კლასია), რაზედაც თავის დროზე მიგვითითებდა მასწავლებელთა ყველაზე დიდი მასწავლებელი ვ. ი. ლენინი. ისინი, ეს დეტალები, ვარკვეულ როლს შეასრულებდნენ მოსწავლეთა გონებრივ განათლებაში, ადამიანის შრომისადმი, მისი ამოღლებული მორალისადმი პატივისცემის, პატრიოტიზმის, ჰუმანიზმისა და ესთეტიზმის გრძნობებით მოსწავლეთა აღზრდაში.

მასწავლებელმა ვ. ჩიქოვანმა კლასში შესრულებული აღნიშნული სამუშაოები იქვე წააკითხა ჯერ ერთ, შემდეგ მეორე მოსწავლეს. ყოველი თემის წაკითხვის შემდეგ ჩაატარა წაკითხულის ზეპირი რეცენზირება. მოსწავლეებმა მიუთითეს თანაკლასელთა ნამუშევრებში დაშვებულ შეცდომებსა თუ ნაკლოვანებებზე: გააკეთეს, მაგალითად, ასეთი შენიშვნები: „მშვენიერება არ არ იფრქვევაო“, სიტყვა „გაზაფხული“ წინადადებაში ნახმარაო ზედიზედ, ნამუშევარში ისეა წარმოდგენილი საქმე. თითქოს ყვავილები ჯერ ამოვიდნენ და მერე წასჩურჩხულეს ერთმანეთს — „გვეყო ამდენი ძილიო“, სინამდვილეში კი პირიქით უნდა თქმულიყო და ა. შ.

სასწავლო პროცესის კიდევ უფრო სრულყოფის პროფესიულმა ინტერესმა და ოფიციალურმა მოვალეობამ გვიკარნახა, გავეკეთებინა ზოგი ზემოხსენებული შენიშვნა თორემ, როგორც იტყვიან, ღმერთმა ქნას, ყველგან იყოს ასეთი კლასიკა და მასწავლებელიც!

სკოლაში არასაკმაო მუშაობა ტარდება მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებისათვის საჭირო სასწავლო-მატერიალური ბაზის შესაქმნელად, მეტად ღარიბია ამ საგნების კაბინეტები: არ იცემა ხელნაწერი ჟურნალი, თითქმის არ არის მოსწავლეთა ხელით დამზადებული თვითნაკეთი თვალსაჩინოება, არ ავროვებენ ფოლკლორულ მასალებს და სხვა.

ძალიან ცოტა კეთდება ერთიანი ენობრივი რეჟიმის დასაცავად. სკოლაში არსებული წერილობითი ხასიათის დოკუმენტები ამის ნათელი დადასტურებაა. მოვიტანთ მხოლოდ ერთ მაგალითს:

ჩვენი ყურადღება მიიქცია VIII კლასის საორგანიზაციო კუთხეში (თუმცა არა ესთეტიკური თვალსაზრისით). აქ ჩამოკიდებულ ულაზათო ჩარჩოში მოთავსებულია „წესები მოსწავლეთათვის“ მკაცრად ტექსტის ერთი ნაწილი ჩარჩოთა დაფარული. „წესებში“ იკითხება მოსწავლეებისადმი მიმართული სიტყვები: „ისწავლე“, „იმუშავე“, „დაიცავით“, „შეასრულეთ“. ზმნები ხან მხოლოდით რიცხვშია დასმული, ხან კი მრავლობითში; მრგვალი ფრჩხილების მაგივრად ასეთი ნიშნებია / / გაკეთებული; კუთხეში ჩამოწერილია მორიგე მოსწავლეთა გვარები, მაგრამ არასწორად; ასეთ შემთხვევაში კი პირიქით—ჯერ გვარი, მერე—სახელი; კუთხეში ჩამოწერილია კლასაგარეშე საკითხავი ლიტერატურა, მაგრამ ამ სიაშიც შეცდომებია დაშვებული; წერია: „თემურაზ“, „როგორ იწრთობა ფოლადი“, (ნ. ოსტროვსკი)... ცალკეა გაკეთებული სათაური „წერების ცხრილი“, მაგრამ მასში არაფერი წერია და სხვ.

როგორ შეიძლება ასეთი ნიმუშის სასკოლო დოკუმენტს (თუ მას საერთოდ შეიძლება ეწოდოს ასეთი სახელი) უცქირონ მოსწავლეებმა მთელი წლის განმავლობაში. მას არც საგანმანათლებლო მნიშვნელობა აქვს (სავსეა შეცდომებით), არც აღმზრდელობითი—აშკარად უჩვენებს მოსწავლეს საქმისადმი არააკურატულ დამოკიდებულებას) და არც ესთეტიკური (ულამაზოდ არის გაკეთებული) ჩანს, მას მხოლოდ ორგანიზაციული მნიშვნელობა აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკაში დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი ხორციელდება ამ საგნის სწავლების დონის ასამაღლებლად, აბაშის 1-ელ საშუალო სკოლაში ჯერ კიდევ მათთვის შესაძლებელი ღონისძიება არ ხორციელდება რუსული ენის სწავლების დონის ასამაღლებლად.

მოსწავლეებმა ლ. მ. ძველიამ IX კლასში ჩაატარა ლიტერატურის გაკვეთილი. მან არ ჩაატარა 5-წუთიანი საუბარი, მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეები ძალიან სუსტად ფლობენ სასაუბრო ენას. რვა გამოკითხული მოსწავლიდან 5-მა არ იცოდა გაკვეთილი. არც ერთი გამოკითხული მოსწავლე არ შეფასებულა. ახალი მასალის ახსნისას მოსწავლეები მხოლოდ ლექსის მეორე ნახევრის შინაარსის თხრობითა და ცალკეული სიტყვების თარგმნით შემოიფარგლა. მან არ მიაქცია ყურადღება ლექსის „Размышления у парадного подъезда“ იდეურ მხარეს; არადამაკმაყოფილებლად ჩაატარა ლექსიკური სამუშაო. თვით მოსწავლეები ხშირად უშვებდა შეცდომებს მეტყველებაში: „Не поправился это швец-

რუ". „По эти или не требуются, потому, что они живут со-
словою“ და სხვ. კლასში 41 მოსწავლიდან საკლასო-საშინაო რე-
ული მხოლოდ ერთს აღმოაჩინდა, სალექსიკონო კი 14-ს. ეროვნული
მეცნიერებათა

მასწავლებელ ლ. ტაბიძეს V კლასში ვერ გაუგია კომბინირე-
ბული გაკვეთილის არსი. მოსწავლეებმა ვერ გაარჩიეს წინადადება
და მეტყველებების, დასასწავლი გაკვეთილის თბრობისასაც კი უშ-
ვებდნენ უხეშ შეცდომებს. ახალი გაკვეთილი მასწავლებელმა ახსნა
წინაწარი საუბრისა და სალექსიკონო სამუშაოს გარეშე.

ტ. გვილაკა საშუალო განათლებითაა და სუსტად ფლობს
ენას. მეტყველებისას უშვებს შეცდომებს; მაგალითად: „Что было
дети урок?“, „Переведи на грузински языке“ და სხვ. ახალი
მას.ლა—„Обед“ ახსნა წინასწარი საუბრისა და სალექსიკონო მე-
შაობის გარეშე. მასწავლებელი გაკვეთილის მსვლელობისას ხშირად
მიმართავს მშობლიურ ენას. ახალი მასალა გაკვეთილზე არ იქნა
განმტკიცებული. მასწავლებელმა ენობრივი შეცდომა დაუშვა საში-
ნაო დავალების მიცემისას: „Выучите на рассказ и пишите два
предложения“.

X კლასში (მასწავლებელი მ. ვ. კაჭარავა) ჩატარებულ იქნ,
საკონტროლო წერა. 15 მოსწავლიდან შეფასება „1“ მიიღო 14-მა
ამავე სამუშაოს შესრულებაში მასწავლებელს დაწერილი აქვს
ხუთი „5“, „ვიდი—4“ და ექვსი „3“. მეორე მკოთხედში რუსულ
ენაში მასწავლებელს 2 მოსწავლისათვის დაუწერია შეფასება „5“
და „4“—თერთმეტი მოსწავლისათვის, რაც არ შეეფერება მათ რეა-
ლურ ცოდნას.

სკოლაში ინგლისურ ენას ასწავლიან თ. ბიჭკაშვილი და
ლ. გვალია. თ. ბიჭკაშვილის გაკვეთილებზე დასწრება ვერ მო-
ხერხდა მისი ავადმყოფობის გამო.

მასწავლებელი ლ. გვალია (VII და IX კლასები), მიუხედავად
იმისა, რომ მას 1971 წ. გავლილი აქვს დახელოვნების კურსები,
გაკვეთილებს მაინც ძველი მეთოდით ასწავლის. იგი იფარგლება
კითხვისა და თარგმნის მეთოდით; არ იყენებს თვალსაჩინოებას და
ტექნიკურ საშუალებებს, გაკვეთილს ძირითადად მშობლიურ ენაზე
ატარებს, მასწავლებელი არ ემზადება გაკვეთილისათვის, არ მუშა-
ობს თავის თავზე, რის გამოც გამოთქმაში უხეშ შეცდომებს უშ-
ვებს. მას გაკვეთილზე თავისი სახელმძღვანელოც კი არ ჰქონდა
VII კლასში მოსწავლებს მექანიკურად აქვთ დაზეპირებული

გაკვეთილები და არ ესმით მონათხრობის მნიშვნელობა. IX კლასის მოსწავლემ, რომელმაც ზეპირად იცოდა ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიული ვერაფერი თქვა თავისი საკუთარი ბიოგრაფიიდან.

მოსწავლეები თხრობისას გამოთქმაში უშვებდნენ მიუტევებელ შეცდომებს და ამჟღავნებდნენ გრამატიკული მასალის უცოდინარობას, მაგრამ მასწავლებელი ამ შეცდომებს ვერ ასწორებს. საქმე ის არის, რომ იგი თვითონაც ვერ ერკვევა, მაგ. მოქმედებითსა და ვნებით გვარში და არ იცის სპეციალური კითხვების დასმა. მოსწავლეებს არ ესმით მასწავლებლის საუბარი და იძულებულია მათ ქართულად უთარგმნოს ეს. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე, აგრეთვე მათი კითხვისა და წერის ტექნიკა. სავალალო მდგომარეობაშია მოსწავლეთა საკლასო-საშინაო და ლექსიკონების რვეულები. მასწავლებელი არ ასწორებს მათ.

მასწავლებლების—თ. ბიჭიკაშვილისა და ლ. გვალიას მოსწავლეთა საკონტროლო წერის რვეულებში არ არის დაცული საკონტროლო წერის სახეები. VIII, IX, X კლასებში მოსწავლეებს მიცემული აქვთ მეტად ადვილი თემები საკონტროლო წერისათვის და V კლასში კი პირიქით—საკმაოდ ძნელი. რვეულების გასწორებისას შეუმჩნეველია შეცდომები; ასინი ასევე შეცდომით მეორდება მაშინაც, როცა მოსწავლემ თითქოს გაასწორა ისინი, მაგრამ ეს მასწავლებელს შეუმჩნეველი რჩება.

დამაკმაყოფილებლად მუშაობს აბაშის 1-ლი საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ნ. კაჭარავა. V კლასში საშინაო დავალება სრულყოფილად იქნა შემოწმებული. მოსწავლეებმა საფუძვლიანად იციან ამოხსნა წილადების შეკრება-გამოკლებაზე. კლასში ტარდება დამოუკიდებელი მუშაობა.

დამაკმაყოფილებლად მუშაობს ა. ყურაშვილი VI კლასში. მან საფუძვლიანად შეამოწმა გეომეტრიაში საშინაო დავალება სამკუთხედის კუთხეების ჯამის შესახებ. თეორემის საფუძველზე ავარჯიშა კლასი ამოცანების ამოხსნაში. მოსწავლეთა მომზადება მოსაწონია, მასწავლებელი კარგად ერკვევა პროგრამის სიახლეებში.

მასწ. შ. ჩიტაია ასწავლის მათემატიკის გაძლიერებული სწავლების IX—X კლასში. გეომეტრიის გაკვეთილზე სწორად იქნა გამოთვლილი კუთხე ორ ვექტორს შორის, როცა მოცემულია ვექტორების საწყისი და ბოლო წერტილების კოორდინატები. პარალე-

ლურად ავარჯიშა მოსწავლეები სტერეომეტრიული ამოცანების ამოხსნაზე წრფისა და სიბრტყის პარალელობასა და პერპენდიკულარობაზე.

IX¹ კლასში საკონტროლო წერა შეასრულა 17-მა მოსწავლემ, აქედან არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 6-მა. X¹ კლასში 13 მოსწავლიდან შეფასება „2“ მიიღო მხოლოდ 2-მა მოსწავლემ.

დამაკმაყოფილებლად მუშაობს მათემატიკის მეოროდგაერთიანება, წაკითხული მოხსენებები გამოხატავს მასწავლებელთა მდიდარ პრაქტიკულ გამოცდილებას. ისევე კარგად მუშაობენ მათემატიკის წრეები IV—VIII და IX—X კლასების მოსწავლეთათვის.

*

*

ფიზიკის კაბინეტს უჭირავს ორი ოთახი—საერთო ფართობი 80 მ². კაბინეტი მდიდარია ხელსაწყო-იარაღებით, რაც იძლევა საშუალებას ნორმალურად ჩატარდეს პროგრამით გათვალისწინებული ყველა ლაბორატორიული სამუშაო. კაბინეტს აქვს ყველა აუცილებელი ტექნიკური საშუალება (კინოპროექტორი, ეპიდიოსკოპი, ფილმოსკოპი), რომელთა გამოყენება წარმოებს სწავლების პროცესში. ლაბორატორიულ მაგიდებთან მიყვანილია როგორც მუდმივი, ისე ცვლადი დენი. ლაბორანტი პუნქტუალურად აწარმოებს ჩატარებული სამუშაოების აღრიცხვას. კაბინეტში მოხერხებულად არის დამონტაჟებული ტელევიზორი, რომლითაც სისტემატურად წარმოებს მათთვის განკუთვნილი ტელეგადაცემების მიღება.

ყოველივე ამ კარგის გვერდით შეინიშნება გარკვეული ნაკლოვანებანიც; ასე მაგალითად: კაბინეტის დაბნელება შესრულებულია მეტად პრიმიტიული წესით და ამიტომაც ხასიათდება დაბნელების ცუდი ხარისხით. არ წარმოებს კაბინეტის შევსება ახალი ხელსაწყო-იარაღებით: უკანასკნელი ორი წლის მანძილზე კაბინეტში არ შეუძენიათ არავითარი ხელსაწყო.

VIII კლასის მოსწავლეები (მასწავლებელი ა. ფირცხალავა) იჩენენ საგნის დამაკმაყოფილებელ ცოდნას. ახალ მასალად მასწავლებელმა ახსნა იმპულსების მუდმივობის კანონი. მაგრამ არ გამოუ-

ყენებია არავითარი ტექნიკური საშუალება, არ ჩატარებულა ცდა რამაც ერთობ უფერული სახე მისცა ახალი მასალის ახსნას. მასწავლებელმა საკითხის ახსნის შემდეგ ფრონტალური კითხვების დასმის გზით განამტკიცა იგი. იგრძნობოდა, რომ მოსწავლეთა დიდმა უმრავლესობამ ახლად ახსნილი მასალა დამაკმაყოფილებლად გაიგო. გაკვეთილის დასასრულს ახალ მასალასთან დაკავშირებული ამოცანა ამოახსნევინა და დროულად მისცა დავალება.

მასწავლებელ ა. ფირცხალავასთან, X კლასში, ჩატარდა საკონტროლო წერა. სამუშაოდ მიცემული საშუალო სიძლიერის ამოცანეები შერჩეული იყო ი. დემკოვიჩის ამოცანათა კრებულიდან თვით მასწავლებლის მიერ. მიუხედავად ამისა, წერა დასრულდა ცუდი შედეგით: გასწორების შემდეგ აღმოჩნდა, რომ X კლასის 29 მოსწავლიდან შეფასება „2“ მიიღო—22 მოსწავლემ, „3“ შვიდმა მოსწავლემ, ხოლო „4“ ერთმა მოსწავლემ.

IX კლასის მოსწავლეები (მასწავლებელი შ. ჩიტაია) დამაკმაყოფილებლად ერკვევიან ნახევარგამტარული დიოდის მოქმედების პრინციპებში, ესმით P და n ტიპის ნახევარგამტარების საკონტაქტო ფენის ცალკხრივი გამტარებლობის საკითხი. განვლილი მასალის გამოკითხვამ დაგვარწმუნა, რომ მოსწავლეთა ერთი ნაწილი შესწავლილი მასალის უცოდინარობას ამჟღავნებს. ზოგჯერ მოსწავლეებმა არ იციან პროგრამული მასალის აუცილებელი ელემენტები; ასე მაგალითად, მოსწავლეებმა არ იციან კულონის ფორმულა, არ ესმით გარემოს ფარდობითი დიელექტრიკული შედწევადობის ფიზიკური არსი და ელექტრული მილაკის მოწყობილობისა და მოქმედების ზოგიერთი საკითხი.

ახალი მასალა მასწავლებელს არ აუხსნია—თემის დამთავრების გამო გაჟეორების გაკვეთილი ჩაატარა.

X¹ კლასში (მასწავლებელი თ. ჩიტაია) ჩატარებული საკონტროლო წერის დროს თხუთმეტი მოსწავლიდან ათმა მიიღო „2“, ოთხმა—„3“, ერთმა მოსწავლემ კი—„4“.

ქიმიკ-ბიოლოგიის კაბინეტები აღჭურვილი არ არის ტექნიკური საშუალებებით. არ ატარებენ პრაქტიკულ-ლაბორატორიულ მეცადინეობებს, არ იყენებენ თვალსაჩინო მასალებს.

სკოლას არა აქვს საჭირო სასწავლო-მატერიალური ბაზა, თორემ თვითონ მასწავლებელი მ. დუნდუა მომზადებულე ცხდ-
 დება სკოლაში და კარგად ატარებს ვაკვეთილებს. მე-10 კლასის
 საშინაო დავალებად ჰქონდა მიცემული „ამინები“. მოსწავლეებმა
 კარგად გააშუქეს ამიაკსა და ამინებს შორის მსგავსება-განსხვავება.
 შეადარეს მათი ქიმიური თვისებები ამონიუმის ჰიდროქანგის
 NH^4OH და მერილამონიუმჰიდროქანგის CH^3NH^2OH -ის მაგალითზე,
 ახალი მასალის—ანილინის თვისებები და მიღება ახსნისას
 მასწავლებელმა შეადარა ანილინის და ამონიუმის ქლორიდების
 თვისებები. ყურადღება გაამახვილა ტუტის მოქმედების დროს ანი-
 ლინისა და ამიაკის გამოყოფაზე. აუხსნა კლასს, თუ როგორ
 ვლინდება ფენოლის C^6HS -ის არომატული რადიკალის გავლენა
 ანილინის ფუძე თვისებებზე, აღნიშნა ნ. ზინინის რეაქციის—ანი-
 ლინის მიღების მნიშვნელობა და ა. შ.

ყველა მოსწავლე აქტიურად იყო ჩაბმული მუშაობაში და,
 ბუნებრივია, მასალაც კლასის მიერ ათვისებულ იქნა.

მე-8 კლასშიც ანალოგიურად წარიმართა ვაკვეთილი. თემა
 „ჰალოგენები“ დამაკმაყოფილებლად იცოდნენ მოსწავლეებმა, გა-
 შუქეს ჟანგვა-აღდგენის რეაქციები, ჰალოგენებში ელემენტების
 თვისებების ცვალებადობის მიზეზი, ელექტროუარყოფითობა და
 ა. შ. მასწავლებელმა კარგად ახსნა ახალი მასალა „ჟანგბადის ქვე-
 ჯგუფი გოგირდი“. მასალის განმტკიცების შემდეგ მოსწავლეებმა
 ამოხსნეს ამოცანა.

ამავე სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელმა თ. მიქაძემ სკოლის
 მუშაობის შესწავლის დღისათვის V კლასში ბოტანიკისა და VI
 კლასში ზოოლოგიის ვაკვეთილი ჩაატარა თვალსაჩინოების გარეშე.
 ამის გამო მოსწავლეებში სათანადო ინტერესი ვერ გამოიწვია და
 კლასმა მასალაც დამაკმაყოფილებლად ვერ ათვისა.

“ “

სკოლაში ჯერ კიდევ არასაკამო ყურადღება ექცევა მოს-
 წავლეთა პროფორიენტაციულ აღზრდას. სკოლას აქვს სახელოსნო
 (გამგე მ. ქვილითია), მაგრამ იგი მოუწყობელია.

შექმნილია პროფორიენტაციის კომისია 7 კაცის შემადგენ-
 ლობით. კომისიას აქვს გეგმა, რომელიც ითვალისწინებს შეხვედრებს

შრომის მოწინავე ადამიანებთან, ბროფსასწავლებლის მოსწავლეებთან, საუბრებს სხვადასხვა პროფესიაზე და ექსკურსიებს.

ამასთან აღსანიშნავია, რომ სკოლას არა აქვს მოწოდებები პროფორიენტაციის კუთხე. არც კლასის ხელმძღვანელთა სადამზრდელი გეგმებში და არც სავნობრივი წრეების სამუშაო გეგმებში გათვალისწინებული არ არის ღონისძიებანი პროფორიენტაციის ხაზით. მოსწავლეთა დახასიათებებში კლასების ხელმძღვანელები არ მიუთითებენ მათ მიდრეკილებებსა და ინტერესებზე.

“ “

გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება სკოლის პიონერული ორგანიზაციის მუშაობა.

პიონერთა ოთახი საკმაოდ დიდია, მაგრამ კარგად არ არის გაფორმებული. ოთახში არა აქვთ „საზეიმო დაპირება“, პიონერთა კანონები და ბრძანებულებები პიონერული ორგანიზაციის დაჯილდოების შესახებ. ოთახში არ არის კომკავშირის კუთხე, ოქტომბრელთა კუთხე და მეგობრობის საბჭოს კუთხე.

რაზმეული ატარებს პავლიკ მოროზოვის სახელს, ოთახში არის მისი ბიოგრაფიის ამსახველი სტენდი, მაგრამ იგი გაურკვევლადაა გაკეთებული. რაზმეულში 8 რაზმია, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ატარებს რომელიმე გამოჩენილი პირის სახელს.

სკოლაში არ ხორციელდება კომკავშირული, პიონერული ორგანიზაციებისა და კლასის ხელმძღვანელთა ერთობლივი მუშაობა. მეტიც: კლასის ხელმძღვანელები პროგრამა „ორიენტირის“ არსშიც ვერ ერკვევიან.

არავითარი მუშაობა არ ტარდება ოქტომბრელებთან, რადგან თვით უფროსმა პიონერხელმძღვანელმა არც კი იცის, რომ უნდა არსებობდეს ოქტომბრელთა მეგობრობის საბჭო. იგი საერთოდ ცუდად ერკვევა ვ. ი. ლენინის სახ. პიონერული ორგანიზაციის მუშაობაში.

“ “

გაგვიგრძელდა პირველი საშუალო სკოლის მუშაობაზე საუბარი... ჩვენ სასკოლო მუშაობის სხვა საკითხებს განვებ აღარ

ვენებით, რადგანაც, ვფიქრობთ, უკვე აღნიშნულიდან ერთგვარი წარმოდგენა მაინც გვეძლევა მასზე. როგორც ვხედავთ, არის ამ სკოლის მუშაობაში ერთგვარი წარმატებანი, არის, ^{უცნობი} ^{დაკარგული} არცთუ მცირე, ჩრდილოვანი მხარეებიც... ასე რომ, თუ ვვსურს ქალაქის 1-ლი სკოლა გვეიმედებოდეს ისეთ სასწავლო დაწესებულებად, რომლის მუშაობის მაგალითზე სხვებსაც ვასწავლოთ, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა კადრები უნდა გავაუმჯობესოთ, განვამტკიცოთ სასწავლო-მატერიალური და ტექნიკური ბაზა; აღმოვფხვრათ ზემოხსენებული და მსგავსი ნაკლოვანებანი მის მუშაობაში.

განათლების განყოფილების მუშაობის ზოგი საკითხის

გ ა რ ზ ე მ ო

აბაშის რაიონბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება სათანადო ცენზისა და გამოცდილების მუშაკებითაა დაკომპლექტებული. მაგრამ, ჩვენის აზრით, განყოფილების აპარატის მუშაკთა შერჩევაში ყველაფერი რიგზე არ არის. აპარატში 9 ამხანაგი მუშაობს. სპეციალობათა მიხედვით ისინი ასე ნაწილდებიან: ოთხი ფილოლოგია, თითო ისტორიკოსი, ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, ბიოლოგი და საშუალო განათლებით. ასე, რომ აპარატში არ არის ფიზიკოსი, ქიმიკოსი და დაწყებითი კლასების სპეციალისტი (ამ უკანასკნელის ადგილზე მუშაობს ფილოსოფოსი).

განყოფილება მუშაობს კვარტალური გეგმით. საკითხები წინასწარ, საქმის ცოდნით მზადდება და იხილება ან საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის ბიუროს, რაისაბჭოს ან განყოფილების სახალხო განათლების განყოფილების საბჭოს სხდომაზე.

1973—1974 სასწ. წელს შესწავლილია და განხილულია მთელი რიგი აქტუალური საკითხები; ასე მაგალითად: „რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების შემოწმების შედეგები მაიდანისა და ონტოფოს სკოლებში“, „გულიეკარდს დაწყებითი სკოლის სკოლის მუშაობის შემოწმების შედეგები“, „ტყვირისა და სეფიეთის საშუალო სკოლებში დაწყებითი სამხედრო მომზადების სწავლების შემოწმების შედეგები“, სეფიეთისა და ნაესაკოვოს საბავშვო ბაღებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ“ და სხვ.



სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე მოსმენილ საკითხებზე მიღებული დადგენილებანი კონკრეტულია და მიზანსწრაფულია. ოქმები წიგნიერად იწერება. ყველა დადგენილების პროექტი დგება წინასწარ მოფიქრებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე. ყველა მოხსენებითი ბარათი აკინძულია და ინახება განათლების განყოფილებაში.

აქვე არ შეიძლება, არ შევნიშნოთ ერთ უხერხულ, სამწუხარო ფაქტზე: ერთხანს, 1973 წლის 28 ივნისიდან 18 დეკემბრამდე სახალხო განათლების საბჭო უმოქმედოდ იყო, არც ერთი სხდომა არ ჩატარებულა (ყოფილი ვამგე ნ. ფოჩუა).

როგორც ზემოთაც ითქვა, რაიონში ყველაფერი რიგზე არ არის კადრების აღზრდის, შერჩევისა და დაწინაურების დარგში. შეინიშნება, რომ ზოგი პენსიონერი მასწავლებელი, ეტყობა ხანდაზმულობის გამო, არადაკმაყოფილებლად მუშაობს. ამ მხრივ განყოფილებას მოუხდება გარკვეულ ღონისძიებათა გატარება.

რაიონში საკმაო მუშაობა არ ტარდება სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად. და ეს მაშინ, როცა სკოლები მეტად ღარიბია ხელსაწყო-იარაღებით, თვალსაჩინოებით და ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდით. ცუდად არის მოვლილი და დაცული სასკოლო შენობები. ამ მხრივ ისიც არ კეთდება, რის გაკეთებაც შედარებით იოლია და მაინც და მაინც ბევრს არაფერს მოითხოვს.

არასაკმაო მუშაობა ტარდება მასწავლებელთა მეცნიერული და პედაგოგიურ-მეთოდური ღონის ამალგებისა და მოწინავე მუშაკთა გამოცდილების განზოგადება-გავრცელებისათვის; მაგალითად, თითქმის მთელმა რესპუბლიკამ იცის ონტოფოს საშ. სკოლაში გეოგრაფიის სწავლების დადებითი გამოცდილების შესახებ. თვით ამავე რაიონის სხვა სკოლებში კი თითქმის არაფერი კეთდება ამ გამოცდილების გამოსაყენებლად. ასევე, მისაბაძია საგვაზაოს რეაწლიანი სკოლის ინვლისური ენის ახალგაზრდა მასწავლებლის ნ. გაბუნიას მუშაობა. მისი საქმიანობა კარგი მაგალითია არამარტო ახალგაზრდა მასწავლებელთათვის, ხანდაზმულთათვისაც.

აბაშის 1-ლ საშ. სკოლაში, რომელსაც საყრდენი, საჩვენებელი სკოლის დიდი მოვალეობა აქვს დაკისრებული, სწორედ ასეთი მოწინავე მასწავლებლები უნდა მუშაობდნენ.

რაიონის სკოლებში არადაკმაყოფილებლად არის დაყენე-

ბული მეთოდური მუშაობა: ამ საქმეში არ ჩანს პედაგოგიური კაბინეტის როლი. ბევრგან არ არის შექმნილი სასკოლო და სასკოლათაშორისო მეთოდგაერთიანებანი. სუსტია წაკითხულის მუშაობა სენებანი. არ ჩანს საკითხზე არსებული პედაგოგიურ-მეთოდური ლიტერატურის ცოდნა, მისი ანალიზი და ის ახალი, რასაც დიდი გარჯისა და შრომის შედეგად აღწევს მასწავლებლის მძიებელი გონება პრაქტიკული მუშაობისას.

განათლების განყოფილებამ და მისმა პედაგოგიურმა კაბინეტმა გადაჭრით უნდა გარდაქმნან მუშაობა სოფლის სკოლების მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს შესაბამისი ბრძანებებით დასახულ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

ამიტომ ამ სახელმძღვანელო დოკუმენტების გადაწყვეტილებათა შექმნა პერიოდულად შეისწავლონ სოფლის სკოლების მუშაობა კომპლექსურად და თემატიკურად, გამოავლინონ მათ საქმიანობაში ტიპობრივი, რაიონის ყველა სოფლის სკოლისათვის, ან თითქმის ყველა სოფლის სკოლისათვის, დამახასიათებელი ნაკლოვანებანი და წარმატებანი. მოაწყონ მათი ფარო განხილვა სკოლების დირექტორებისა და მათი მოადგილეების, აგრეთვე ცალკეული სასწავლო დისციპლინების მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებათა სხდომებზე. ამ გზით მიიღწიონ, ერთი მხრივ, მთელი რაიონის სკოლების, ხელმძღვანელებისა და პედაგოგიური კოლექტივების მობილიზებას აღნიშნულ ტიპობრივ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ და, მეორე მხრივ, მიღწეულ წარმატებათა განმტკიცებასა და განზოგადებას.

“ “

იმ მუშაობის შესწავლის შედეგები, რომელიც ტარდება დამოუკიდებელი რვაწლიანი სკოლების მიერ სოფლის სკოლების მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცკ-ისა და საბჭოთა მთავრობის 1973 წლის 2 ივლისის ისტორიული დადგენილების განსახორციელებლად, ფართოდ გაეცნო

სკოლების დირექტორებისა ოა მათე მოადგილეების, აგრეთვე
ცალკეული სასწავლო დისციპლინების მასწავლებელთა რაიონულ
თათბირებს.

საქართველოს
სამინისტროს

აღნიშნული სკოლების მუშაობის შესწავლის შედეგები
ვრცლად გაეცნო საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიონს.

დასკვნა

სოფლის სკოლების მუშაობის ბირობების შემდგომი გაუმ-
ჯობესების ღონისძიებათა თაობაზე შემდგომი ხელმძღვანელი ორ-
განობების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად აბაშის რაიონის
განათლების განყოფილებისა და სოფლის დამოუკიდებელი რვა-
წლიანი სკოლების მუშაობის შედეგები საჭიროა განიხილოს სა-
ქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრიგადის შე-
მადგენლობა:

თ. ბენდელიანი, ხ. დვალი (ხელმძღვანელი), შ. თუთბერიძე,
კ. კიკაჩიშვილი, დ. მახარაძე, თ. მელქაძე, მ. საყვარელიძე,
ალ. შანავა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
1974 წლის 27 აპრილის ბრძანება № 697

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლა-ინტერნატების, სპეც-
ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მზადების მიმდინარეობის
შესახებ

ადგილზე შემოწმებითა და სამინისტროში არსებული მასალებით დადგინდა, რომ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ხელმძღვანელებს გარკვეული მუშაობა აქვთ გაწეული ახალი სასწავლო წლისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

რესპუბლიკის საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების მნიშვნელოვანი ნაწილი დროულად შეუდგა შენობა-ნაგებობათა რემონტს, ზამთრისათვის საკმაო რაოდენობით დაამზადეს საწვავი მასალა, შეავსეს კაბინეტ-ლაბორატორიები ხელსაწყო-იარაღებით, შეზიდეს სახელმძღვანელოები, რვეულები და სხვა სასწავლო ნივთები. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ბათუმის № 2, ატენის, ზუგდიდის საშუალო, თბილისის ფიზიკა-მათემატიკის, თბილისის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებმა და მახინჯაურის საბავშვო სახლმა (დირექტორები: ი. დიასამიძე, ა. საგანელიძე, გ. გეთია, ვ. მელაძე, ი. ხეთერელი, ა. ზედანია).

ახალსოფლის სკოლა-ინტერნატი (დირექტორი ა. სიჭინავა) 1974—75 სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში ზუგდიდის საშუალო სკოლა-ინტერნატთან. ორივე სკოლა-ინტერნატის მიერ მიღებული სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებანი დამტკიცებულია პედსაბჭოს სხდომაზე. საჭირო ყურადღებას იჩენს ახალსოფლის სკოლა-ინტერნატის მიმართ მზრუნველთა საბჭო (თავმჯდომარე ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ანთიმოზ როგავა). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ

ახალსოფლის სკოლა-ინტერნატის ახალი სასწავლო წლისათვის მზადების გეგმას, დირექტორთან ერთად, ხელს აწერს ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წარმომადგენელიც. აღნიშნულ ღონისძიებაში კოლმეურნეობამ სკოლა-ინტერნატს უსასყიდლოდ გადასცა 10 ტონა ცემენტი. სკოლა-ინტერნატის კაპიტალური შეკეთებისათვის გამოყოფილი 20.000 მანეთიდან შემოწმების მომენტისათვის ათვისებული იყო 1200 მანეთი. მთლიანად დამთავრდა სამეურნეო და სასადილო კორპუსების კაპიტალური შეკეთება. ახალსოფლის სკოლა-ინტერნატის სარემონტო სამუშაოებს აწარმოებს ზუგდიდის სარემონტო სამმართველო (მმართველი კ. ჭიჭონია. სამუშაოთა მწარმოებელი მ. ქობალია).

კარგად ემზადება ახალი სასწავლო წლისათვის აგრეთვე ინგირის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი (დირექტორი რ. ბალათურია). დროულად და ხარისხიანად ჩატარა კაპიტალური რემონტი თბილისის სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატმა (დირექტორი ა. საგინაშვილი). მოეწყო სპორტულ მოედანი, ჩატარდა ეზო-კარმიდამოს გამწვანება, შეკეთდა დამ-ავეჯი.

დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები ახალციხის № 2 სკოლა-ინტერნატში (დირექტორი ფოცხვერაშვილი).

ამასთან ერთად, ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი შეინიშნება.

რესპუბლიკის ზოგიერთ ინტერნატულ დაწესებულებაში ნელი ტემპით მიმდინარეობს შენობა-ნაგებობების შეკეთება.

მარნეულის სკოლა-ინტერნატში (დირექტორი მ. მამედოვი) გვიან დაიწყო სარემონტო სამუშაოები. შემოწმების დღისათვის (24 ივლისი) სარემონტო სამუშაოების ყოველდღიური გრაფიკი სარემონტო კანტორას (უფროსი მურმანიშვილი) შედგენილი არ ჰქონია. სკოლა-ინტერნატში ღღემდე მოუწესრიგებელია კანალიზაციის საკითხი. სკოლა-ინტერნატს გააჩნია მხოლოდ ერთი საპირფარეზო, რომელიც მოთავსებულია ეზოში. აქ არ არის სველი წერტილები არც სასწავლო და არც საძინებელ კორპუსში. მოუწესრიგებელია აგრეთვე სკოლა-ინტერნატის წყლით მომარაგების საკითხიც.

ნელი ტემპით მიმდინარეობს რემონტი გეგეჭკორის სკოლა-ინტერნატში. აქ ჯერ არ არის დაწყებული საძინებელ და სასწავლო კორპუსებში შიდასარემონტო სამუშაოები. რემკანტორას არ გააჩნია საჭირო-სამშენებლო მასალები.

მოგვიანებით დაიწყო გეგეჰკორის საბავშვო სახლის წავარდ-
ული ნაწილის აღდგენითი სამუშაოები. მოუწესრიგებელია საბავშვო
ვო სახლის წყალგაყვანილობა. საბავშვო სახლს არ გააჩნია
ლიზაცია.

ქ. ბათუმის № 2 სკოლა-ინტერნატის (დირექტორი ა. კაკაბა-
ძე) 1974—75 სასწავლო წლის მზადების ვეგმა არ იყო დამტკიცე-
ბული განათლების განყოფილების მიერ. ამიტომ არის, რომ
სკოლა-ინტერნატს გააჩნია კაპიტალური რემონტისათვის ჩასა-
ტარებლად საჭირო თანხა, მაშინ როდესაც სასწავლო კორპუსის
გარე ფასადის ნაწილი წვიმებისა და უხარისხო მშენებლობის შედე-
გად ჩამონგრეულა. ასეთივე მდგომარეობაა საძინებელ და სა-
მეურნეო კორპუსებში, მათი ფასადები მოითხოვს გადაუდებელ კა-
პიტალურ შეკეთებას. კეთილმოსაწყობია სკოლა-ინტერნატის სა-
დურგლო და საზენკლო სახელოსნოები.

ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს მიმდინარე რემონტი ჩა-
ისუბნის სკოლა-ინტერნატში. ქობულეთის სარემონტო კანტორას
ნაწილი სარემონტო სამუშაოებისა დაუწყია, მაგრამ შემდეგ ეს სა-
მუშაოები მიუტოვებია. აღსანიშნავია, რომ ჩაისუბნის საძინებელი
და სასწავლო კორპუსები მოითხოვს გადაუდებელ კაპიტალურ შე-
კეთებას. საძინებელი კორპუსის იატაკი გაკეთებულია ყოველგვარი
საინჟინრო და სანჰიგიენური ნორმების გაუთვალისწინებლად. კე-
რძოდ, ყველა სართულზე არის ცემენტის იატაკი, რომელზედაც
დიდი ხნის წინათ დაუგიათ უვარგისი ლინოლეუმი. ავარიულ
მდგომარეობაშია სამრეცხაო, სრულიად უვარგისია აბანო. მოწესრი-
გებას მოითხოვს გათბობის სისტემა, არ არის ორგანიზებული ნახმარი
სახელმძღვანელოების შენახვის საკითხი, წესრიგში მოსაყვანია
საპირფარეშოები და სხვა.

შემოადინიშნულიდან გამომდინარე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. აფხაზეთისა და აჭარის განათლების მინისტრებმა, სამხრეთ
ოსეთის აქოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების გან-
ყოფილებების გამგეებმა:

ა) სისტემატურად შეამოწმონ ახალი სასწავლო წლისათვის სკოლა-
ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სხვეც. სკოლა-ინტერ-
ნატების მოსამზადებელ სამუშაოთა მიმდინარეობა და ახალი

სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყონ მათი მალაზიარის-
ხოვნად შესრულება;



ბ) საჭირო ზომები მიიღონ სკოლა-ინტერნატების, სპეც. სკოლა-
ინტერნატებისა და საბავშვო სახლების რბილი და მაგარი
ინვენტარით, სახელმძღვანელობითა და სასწავლო ნივთებით
სჭირო რაოდენობით უზრუნველყოფისათვის, კაბინეტ-ლაბორა-
ტორიებისა და სახელოსნოების ხელსაწყო-იარაღებით აღჭურ-
ვისათვის;

გ) ქმედითი ზომები გაატარონ იმისათვის, რომ დადგენილ ვადებში
ყველა ინტერნატული დაწესებულება უზრუნველყოფილ იქნეს
ზამთრისათვის სჭირო გათბობით.

დ) იზრუნონ იმისათვის, რომ სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო
სახლებში შექმნილი იყოს სანიმუშო სანიტარულ-ჰიგიენური
პირობები.

2. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ
(თ. ნიკოლაიშვილი)თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულე-
ბას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიის 1974 წლის 15 აგვისტოს სხდომის
დადგენილება

მინისტრის მოადგილე

უშ. ობოლაძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
1974 წლის 25 სექტემბრის ბრძანება № 776

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო
ლაბორატორიულ მოწყობილობათა და სწავლების ტექნიკურ
საშუალებათა აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენების მდგომარეო-
ბის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღ-
ნიშნავს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო ლა-
ბორატორიულ მოწყობილობათა და სწავლების ტექნიკურ საშუა-
ლებათა აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენების საქმეში არსებულ
ერთგვარ წარმატებებთან შეინიშნება სეოთოზული ნასიათის ნაკლო-
ვანებანი და დარღვევები.

შემოწმებულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და განათ-
ლების განყოფილებათა ცენტრალურ ბუხალტერიებში არ არის და-
მყარებული სრული წესრიგი სასწავლო-თვალსაჩინო მოწყობილო-
ბათა და სწავლების ტექნიკურ საშუალებათა აღრიცხვის საქმეში.
ამ ფასეულებათა ინვენტარიზაცია, ხშირ შემთხვევაში, ტარდება ფორ-
მალურად; არ ხდება ინვენტარიზაციის მასალების საბუხალტრო
ნაშთებთან შედარება, კაბინეტის გამგეთა შეცვლის დროს არ ტარ-
დება ინვენტარისა და მოწყობილობათა მიღება-გადაბარება დად-
გენილი წესით, ხშირ შემთხვევაში ინვენტარი და ლაბორატორიუ-
ლი მოწყობილობა არ არის დანომრილი.

ზოგჯერ სკოლებს საშეფო დანმარებით ან განათლების სამი-
ნისტროს ცენტრალიზებული ხარჯებით შექმნილ მოწყობილობათა
ნაწილი სასწავლო კაბინეტებისათვის არა აქვთ შემოსავალში აღე-
ბული. ასე, მაგალითად, თბილისის 55-ე საშუალო სკოლაში (დი-
რექტორი ამხ. ო. ლომიძე) შემოსავალში არ იყო აღებული ცენ-

ტრალიზებული თანხით 1973 წელს შექმნილი 600 მანეთად ღირე-
ბული მაგნიტოფონი „ტემბრი“, 1972 წელს საქართველოს სსრ მე-
ცნიერებათა აკადემიის ფიზიკისა და ორგანული ქიმიის სამეცნიერო
კულევითი ინსტიტუტის მიერ გადმოცემული 7600 მანეთის ღირე-
ბულების სპექტროფოტომეტრი. თბილისის მე-60 საშუალო სკოლა-
ში (დირექტორი ამხ. კ. ვადაჭკორია). შემოსავალში აღებულს არ
ჰქონდათ ვოლტმეტრი, მიღებული 1973 წლის ოქტომბერში, კოდოს-
კოპი, მიღებული 1972 წლის მაისში, პროექტორი „ლეტი“. მიღებული
1973 წელს და სხვ. თბილისის 138-ე (დირექტორი ამხ. თ. გოდა-
ბრელიძე) სკოლაში არ იყო აღრიცხული ოსცილოგრაფი, ატეუტის
მანქანა, წამშობი, ძაბვის ტრანსფორმატორი, თვითმოდრავი ურიკა,
ფოტოგამაღიდებელი, სასკოლო მიკროსკოპი, საპროექციო აპარატი,
შექმნილი 1973-1974 წლებში.

ქ. ქუთაისის 23-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი ამხ. ქო-
მეთიანი) 1973 წელს, კაპიტალურ მშენებლობასთან დაკავშირებით,
შექმნილი 80 ათასი მანეთის სასწავლო მოწყობილობა ქუთაისის
განათლების განყოფილებამ შემოსავალში აიღო მხოლოდ შემოწმე-
ბის მომენტისათვის, 1974 წ. მაისში.

ზოგიერთ სკოლაში, დირექტორისა ცენტრალური ბუღალტე-
რიის მხრივ სრული უკონტროლობის გამო, სასწავლო კაბინეტებში
არ ტარდება ინვენტარიზაცია ან ტარდება ფორმალურად. ასე, მა-
გალითად, თბილისის 151-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი ბ.
ჯაფარიძე) ქიმიის კაბინეტში არ იყო ჩატარებული ინვენტარიზა-
ცია. 1973 წლის ნოემბრის თვეში ბუხჰალტერიამ შეადგინა ინვენ-
ტარიზაციის ფიქტიური უწყისი, სადაც, სკოლის დირექტორის
მოადგილემ სამეურნეო ნაწილში გ. სურგულაძემ, მიიღო რა ეს
უწყისები, ვააკეთა მასზე საინვენტარიზაციო კომისიის წევრებისა
და მატერიალურ-პასუხისმგებელი პირის ყალბი ხელმოწერა.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ინვენტარის აღ-
რიცხვის საქმე ხაშურის; ბორჯომის, ხელვაჩაურის, ზესტა-
ფონის, ორჯონიკიძის, ცხინვალის რაიონებისა და ქალაქე-
ბის: ზუგდიდისა და ცხინვალის სკოლებში. ქალაქების სკო-
ლებში სასწავლო მოწყობილობათა აღრიცხვის ცუდად დაყენებამ
შექმნა პირობები მათ შენახვაზე უპასუხისმგებლობისა, რის გამო
აღვილი აქვს ძვირადღირებული აპარატურის დაკარგვისა და სკო-
ლიდან წაღების შემთხვევებს. თბილისის 151-ე საშუალო სკოლაში

(დირექტორი ბ. ჯაფარიძე) შემოწმების დროს კინოგადამღები
კამერა „კვარცი“, რომელიც ირიცხებოდა ფიზიკის კაბინეტში, აღმოჩნდა
მოჩნდა კაბინეტის გამგის სახლში.

ორი ფოტოაპარატი, რომლებიც ირიცხებოდა ლენინის სახე-
ლობის რაიონის 132-ე საშუალო სკოლის (დირექტორი ამხ. რ.
ჯაში) ფიზიკის კაბინეტზე, შემოწმების დროს არ აღმოჩნდა ადგი-
ლზე, ერთი მათგანი წაღებული ჰქონდა ამ სკოლის მათემატიკის
მასწავლებელს. ამავე რაიონის მე-8 საშუალო სკოლაში (დირექ-
ტორი ამხ. ა. კვიციანი) გეოგრაფიის კაბინეტზე გაპიროვნებულ
კინოპროექტორი „სასკოლო“ აღმოჩნდა სკოლის ლაბორანტ დ.
გრძელიშვილის სახლში. ამავე სკოლაში 1972-1974 წლებში დაი-
კარგა ფილმოსკოპი, მავნიტოფონი, რადიოლა, ორი ფოტოაპარა-
ტი, კინოგადამღები კამერა და სხვა ფასეულობა. როგორც ამ,
ისე სხვა შემოწმებულ სკოლებში მატერიალური პასუხისმგ-
ებლობა ინვენტარზე, ლაბორატორიულ აღჭურვილობასა და სხვა
ფასეულობაზე ბრძანებით არავრცედა არა აქვთ დაკისრებული.

თბილისის მე-7, მე-60, 112-ე, 132-ე, ზესტაფონის მე-2, ცხინ-
ვალის, ორჯონიკიძისა და ხელვაჩაურის რაიონების ზოგიერთ სკო-
ლაში სასწავლო კაბინეტები სათანადოდ არ არის აღჭურვილი: არ
ყოფნით კარადები, თაროები, სტელაჟები. ლაბორატორიული აღ-
ჭურვილობა და სასწავლო-თვალსაჩინო დამხმარე ხელსაწყოები არა
აქვთ დალაგებული სასწავლო დისციპლინების მიხედვით. ხშირად
ხელსაწყოებთან ერთად ინახება დამტვრეული ინვენტარი და სხვა-
დასხვა სამეურნეო საგნები.

ქ. თბილისის ლენინის რაიონის მე-6, მე-7, მე-10, 112-ე 132-ე,
138-ე და ორჯონიკიძის რაიონის 55-ე 57-ე, მე-60, 63-ე, 102-ე,
151-ე, ქ. ქუთაისის მე-2, მე-4, 23-ე, 29-ე სკოლებში და პირ-
ველ სკოლა-ინტერნატში სასწავლო პროცესში არ იყენებენ 350
დასახელების სხვადასხვა აპარატურას, მაშინ როცა თბილისის 33-ე
ქუთაისის საღამოს (ცვლიან) და მთელ რიგ სხვა სკოლებში ფი-
ზიკის, მათემატიკის, მშობლიური ენისა და ლიტერატურის კაბი-
ნეტებს არ გააჩნია ამ საგნების სწავლებისათვის ყველაზე საჭირო
აღჭურვილობა.

ასეთი მდგომარეობა იმას შედეგია, რომ სახალხო განათლე-
ბის ადგილობრივი ორგანოები არ აწარმოებენ ზოგიერთი სკოლის

თვალსაჩინოებით აღჭურვის აღრიცხვას და არარაციონალურად ანა-
წილებენ სკოლებს შორის თანხებს, რომლებიც მათზე გამოყოფილი

სერიოზული ნაკლოვანებები გამოვლინდა სკოლებში არსე-
ლი სასწავლო თვალსაჩინოების, ლაბორატორიული აღჭურვილო-
ბისა და სწავლების ტექნიკური საშუალებების სწავლების პროცესში
გამოყენების საქმეში. ძვირფასი აპარატურა და ხელსაწყოები, რო-
მლებიც შექმნილია რამოდენიმე წლის წინ, ინახება შეფუთული და არ
არის მიღებული ზომები მათი გამოყენებისათვის. ასე, მაგალითად,
ქუთაისის სკოლა-ინტერნატმა (დირექტორი ამხ. გ. ბურჯანაძე
1967 წელს შეიძინა 1100 მანეთზე მეტი ღირებულების პლანეტარ-
იუმი და ტელესკოპი, რომელიც დღემდე შეფუთული ინახება,
ქუთაისის მეორე სკოლამ (დირექტორი ამხ. ა. გოგელია) კი 1962
წელს შეიძინა პლანეტარიუმი, რომლის დამონტაჟება არ მოხდა
და დღეისათვის ბევრი მისი ნაწილი დაკარგული და დატაცებულია.

თბილისის მე-60, 63-ე, 112-ე, 102-ე, 132-ე, 151-ე, ქუთაისის
მე-2, 23-ე საშუალო სკოლების მიერ სხვადასხვა დროს შექმნილი
იყო კინოგადამღები კამერები და ფოტოაპარატები, რომლებიც
დღემდე არ არის გამოყენებულნი.

ქ. ქ. თბილისის, ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისისა და ზუგდი-
ლის, ზესტაფონის, ორჯონიკიძის, ხაშურისა და ბორჯომის რაიონ-
ების 43 სკოლაში გამოუყენებელია 700 ერთეულზე მეტი სხვა-
დასხვა აპარატურა, რომელთა საერთო ღირებულება 55,0 ათას მა-
ნეთს შეადგენს. მათ რიცხვშია ტელევიზორების, კინოაპარატების,
ეპიდისკოპების, დიაპროექტორების, რადიომიმღებების, რადიო-
კვანძების, მაგნიტოფონების, ფირსაკრავების, სადემონსტრაციო
აპარატურისა და ლაბორატორიული ხელსაწყოების დიდი რაოდენ-
ობა.

ხელსაწყოებისა და აპარატურის ნაწილი გამოუყენებელია
სკოლებში იმის გამო, რომ მასწავლებელთა ერთმა ნაწილმა არ
იცის მათი ხმარება, ხოლო ყველა მასწავლებლის გადამზადება კი ამ
მიმართულებით დღემდე ვერ მოხერხდა.

რიგ შემთხვევებში სკოლებში მასწავლებლები ვერ იყენებენ
აღჭურვილობასა და ტექნიკურ საშუალებებს იმის გამო, რომ კაბინ-
ეტებს არ გააჩნიათ ელექტროგაყვანილობა, არა აქვთ დაბნელება,
აპარატების მართვის პულტი და სხვ.

ზშირია შემთხვევა, როცა სწავლების ისეთი ტექნიკური სა-

შუალეხანი, როგორცა კინოპროექტორები, ფილმოსკოპები, მაგნიტოფონები და ფირსაკრავები, გამოუყენებელია იმის გამო, რომ არ არის საჭირო სასწავლო ფილმები, კინოფრაგმენტები, კინოფილმები, დიაფილმები, მაგნიტოფირები, ფირფიტები.

ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელი გატაცებულია აპარატურის შექენით და არ იღებს ზომებს სკოლებში ამ აპარატურის გამოყენებისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად.

ქალაქებისა და რაიონების მეთოდკაბინეტების ფილმოთეკები არ არის უზრუნველყოფილი საჭირო რაოდენობისა და დასახელების სასწავლო კინოფილმების ასლებით, კინოფრაგმენტებით, დიაფილმებით, განსაკუთრებით ქართულ ენაზე, იმ ფილმებს კი, რომლებიც გააჩნია ფილმოთეკებს, იყენებენ ძალიან ცუდად: 174, დასახელების 1650 კინოფრაგმენტების ასლი, რომლებიც ქალაქ თბილისის განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტშია, 1973/74 სასწავლო წელს ქალაქის სკოლებმა გამოიყენეს მხოლოდ 519. ამ ფილმოთეკაში არსებულ 144 დასახელების კინორგოლიდან მთელი წლის მანძილზე გამოყენებულია მხოლოდ ერთი, მე-14 საშუალო სკოლის მიერ. ანალოგიური მდგომარეობაა სწავლებაში კინოფრაგმენტებისა და კინორგოლების გამოყენებაში სხვა შემოწმებულ ქალაქებსა და რაიონებში.

ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სკოლებს გაჩნიათ 122 კინოაპარატი და კინოპროექტორი. პირველ და მეორე მეოთხედებში კი მიიღეს სულ 675 ფილმის ასლი ე. ი. 5-6 ფილმი კინოაპარატზე. ლენინის რაიონის 133-ე საშუალო სკოლას გააჩნია 4 კინოაპარატი, სამი მეოთხედის მანძილზე უჩვენეს 4 სასწავლო ფილმი, ამავე რაიონის მე-7 საშუალო სკოლას გაჩნია 6 აპარატი, რომელთა დატვირთვა არ აღემატება 3 ფილმს თვითიუღზე წვლილში, ანალოგიურადაა დატვირთული მე-12 საშუალო სკოლის II კინოაპარატი; მე-14 საშუალო სკოლის 10 კინოაპარატი, 133-ე საშუალო სკოლის II კინოაპარატი.

რესპუბლიკის სკოლებში ძალზე ცუდად იყენებენ სწავლების მიზნით ტელევიზორებს. იმის გამო, რომ არ არის სპეციალური, არხი, რესპუბლიკის სკოლები მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე უყურებენ ტელეგაკვეთილებს

რესპუბლიკაში ცუდადაა ორგანიზებული დაზიანებული ტექნიკური საშუალებების შეკეთება, რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის

დ. 1975 წლის 15 იანვრამდე „ზოგადსაგანმანათლებლო სკო-
ლების ტიპობრივი სასწავლო-სავალსაჩინო ხელსაწყო-ია. ტექნიკისა და სასწავლო მოწყობილობათა ნუსხის“ საფუძველზე ჩაატარონ
სასწავლო კაბინეტების სახელოსნოების ზუსტი აღწერა მისი აღჭ-
ურვილობის გამოსავლინებლად, ზედმეტი ხელსაწყო-იარაღები გადა-
ანაწილონ რაიონის (ქალაქის) სკოლების შრომის, იოლო დარჩეული
ზედმეტი კომალექტების სია და სკოლებისათვის საჭირო ხელსაწ-
ყოებზე მოთხოვნა წარმოადგიონ საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროში 1975 წლის აირველ ივლისამდე.

2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა:

ა) ჩაატარონ სასწავლო კაბინეტებისა და სახელოსნოების მოწყობი-
ლობათა ზუსტი აღწერა. ამ საქმის მოსაწესრიგებლად, საქართვე-
ლოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დაიტვიცნებულ მითითებათა
შესაბამისად, გააირიონ კაბინეტები, სახელოსნოები საგნის
მასწავლებლებზე; არ დაუშვან კაბინეტების, სახელოსნოების გადა-
უხარკელობა; მასწავლებლებთან ერთად კაბინეტებში არსებულ
მოწყობილობაზე ძატეხილეთი პასუხისმგებლობა დააკისონ კაბი-
ნეტების ლაბორანტებს; იმ სკოლებში, სადაც დღემდე შენობები
არაა, შემოიღონ საინვენტარო წიგნი, რომელშიც სტეხპალტრო
მთაცეფების მიხედვით ზუსტად აღრიცხონ როგორც საბიუჯეტო
საბრუნო, ასევე ცენტრალიზებული წესითა და საშეფო დათხო-
ვით მიღებული ყოველგვარი ინვენტარი და მოწყობილობა;

ბ) კატეგორიულად აკრძალონ სასწავლო მოწყობილობათა
სკოლისგარეშე გატანა და კერძო პირებზე გადაცემა დოვებით სა-
რგებლოებისთვის;

გ) ზუსტად დაიცვან და განახორციელონ კაბინეტების, სახე-
ლოსნოების გამკეთა ზეცვლია დროს (ნვენტარისა და მოწყობილო-
ბათა მიღება-გადაბრუნება დადგენილი წესით;

დ) ყოველწლიურად ჩაატარონ მოწყობილობათა და სწავლე-
ბის ტექნიკურ საშუალებათა სრული ინვენტარაზაცია სათანადო
წესით დაცვით;

ე) სისტემატური კონტროლი დააწესონ სასწავლო პროცეს-
ში სასწავლო მოწყობილობათა და სწავლების ტექნიკურ საშუალებათა
გათოყენების ხარისხზე, მიადწიონ იმას, რომ ყოველი გაკვეთი-
ლი ტარდებოდეს მაქალმეცნიერულ დონეზე, თვალსა ი.ოების
მაქსიმალური გამოყენებით.

3. სასწავლო კაბინეტების გამკეთება :

ა) სრულ წესრიგში მოიყვანონ კაბინეტ-ლაბორატორიები, იზრუნონ მათი ეკუთმანად შევსებისათვის, რისთვისაც ინელმძღვანელებს უზრუნველყვინონ საჭირო საკონსტრუქციო დოკუმენტაცია და მასთან დაკავშირებული საკონსტრუქციო სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო საშუალებების მიწოდება. აღნიშნული სამუშაოების დასრულების ვადა 1974 წლის 1 იანვარამდეა.

ბ) სისტემატურად იზრუნონ კაბინეტების ახალი ნიმუშის დამზადებით შევსებისათვის, ითაწიონ ელექტროგაყვანილობა და დაბრუნება, ოკელაოულად ჩაატარონ კაბინეტებში აოსტკლი დაზიანებული სელსაწყო-იარაღების შეკეთება, აწყობა და რეველიოობა.

4. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო კაბინეტებში არსებული სელსაწყო-იარაღების საინვენტარო წიგნებში აღრიცხვის, საგნის მსწავლებლებს ეგაბიროვნების, მოვლისა და მასის სეა-ვლებში გამოყენების საქმეში არსებული სერიოზული დარღვევებისათვის სკოლის დირექტორებს: ა. კვიციანი (ქ. თბილისის მე-8 საშუალო სკოლა), კ. ვადაკორიას (ქ. თბილისის მე-8 საშუალო სკოლა), რ. ჯაის ქ. თბილისის 132-ე საშუალო სკოლა), ბ. ჯაფარიძეს (ქ. თბილისის 151-ე საშ. სკოლა და დ. ქომეიანი (ქ. ქუთაისის 23-ე საშუალო სკოლა) გამ. ეცხადოთ საყვედური.

5. მიღებულ იქნა ცოხად:

ა) რომ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის 1974 წლის 21 იანვარს დადგინდებით, სკოლების შემოობაზე კონტროლის გააოროციელებლობისათვის, აღრიცხვის, სასწავლო მოწყობილობის, აპრატურისა და სწავლების ტექნიკურ საშუალებების შენახვისა და გამოყენების საქმეში დაშვებული დარღვევებისა და ნაკლოვანებებისათვის თბილისის მშრომელთა დეპუტატების საკლავო საბჭოს აღმასკომის გააოლებლის განყოფილების გამკეს თ. ევაძეს, ორჯონიკიძისა და ლენინის სახელობის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომების სახალხო განათლების განყოფილებათა გამკეებს რ. სურგულაძესა და თ. ტატიშვილს გააოცხადოთ საყვედური.

ბ) ქ. ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი ა. გოგელია განათვისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შრომითი პოლიტიკური სწავლებისა და სასკოლო ტექნიკურ საშუალებების რესპუბლიკურმა მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. დ. გვალიამ):

ა) სისტემატურად შეისწავლოს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო მოწყობილობათა და სწავლების ტექნიკური საშუალებათა აღრიცხვის, მოვლის, შენახვისა და სწავლებაში გამოყენების მდგომარეობა, დახმარება გაუწიოს სკოლებს შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსწორების საქმეში და პერიოდულად მოახდინოს ამ მიზნით მომუშავე სკოლების მკაობის გამოცდების განზოგადება;

ბ) უმოკლეს დროში უზრუნველყოს სპეციალიზებული მანქანის სრულყოფილად მოწყობა და სკოლებისათვის მეთოდური დახმარების გაწვდისას იელსაწყო-იარაღების აწყობა, რეგულირება და დაზიანების შემთხვევაში შეკეთება;

გ) საქონიერი-კვლევით და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებისა და ერთად აკვარად ააიღოს სასწავლო ტელეგადცემათა იარაღები, მთავად ფეოვინი და საინტეოესო გახადოს ის, მკტი ადგილი დაეთმოს სასწავლო ტელეგადცემების სასწავლო პროცესში გამოყენებას.

7. მოძარაქებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. გ. კბილაშვილმა):

ა) სასწავლო მოწყობილობის, სწავლების ტექნიკური საშუალებებისა და თვლსაჩინო სასაღებზე დაკეთა შეადგინოს აფაზიოთისა და აჭარის ასრ განათლების საინსტროს, სამარეთ რსკთის ავტოხომიური ოლქის, ქალაქეისა და რაიონების მიერ წარმოდგენილი ძოთიოვნია საფუძველზე და მაიოგანაწილება მოადინოს ამ მოთხოვნათა გათვალისწინებით;

ბ) აიკრძალოს ძვირადღირებული დანადგარებისა და ინვენტარის შემოზიდვა-რეალიზაცია;

გ) 1974 წლის ხრემბრამდე უზრუნველყოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, „სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებისა და მოწყობილობათა ტიპოთივი ნუსხის გამოცემა და სკოლებში დაკვანა.

8. სკოლების სამმართველომ (ამხ რ. კანდელაკმა):

ა) პერიოდულად შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობა და შედეგები საჭიროებისას მოახსენოს კოლეციას;



ბ) ა/წლის ოქტომბერში მოამზადოს ამ საკითხზე მოხსენებ-
 ბითი ბარათი საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში
 წარსადგენად.

9. ეს ბრძანება განხილულ იქნეს რესპუბლიკის ყველა ზოგად-
 დასავლური საშუალო და რვაწლიანი სკოლის პედაგოგიუ-
 რი საბჭოს სხდომაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
 კოლეგიის 1974 წ. 12 სექტემბრის დადგენილება.

მ ი ნ ი ს ტ რ ი

თ. ლაშქარაშვილი

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
1974 წლის 11 ოქტომბრის ბრძანება № 844**

**ნორჩ ქიმიკოსთა 27-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა
და 28-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების შესახებ**

გავეცანი ჩა ნორჩ ქიმიკოსთა 27-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებს, აღვნიშნავ, რომ კიდევ რეზონანსი და მოსწავლეო ინტერესი ქიმიის მეცნიერების ავტორიტეტის დაუფლებისათვის, ოლიმპიადების ჩატარებამ ხელი შეუწყო მოსწავლეო ცოდნის ამაღლებას, მათი მადრეკილებებისა და უნარის განვითარებას.

რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნითი ტურის პროგრამაში ექსპერიმენტული ამოცანების შეტანა გამოავლინა მოსწავლეთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების დონე და აამაღლა სკოლების პასუხისმგებლობა ვაკეეთილებზე ქიმიური ექსპერიმენტის მაქსიმალურად დანერგვის საქმეში.

1973—1974 სასწავლო წელს ჩატარებული 27-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ზონალურ ტურში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სკოლების VIII-X კლასების 2577 ნორჩმა ქიმიკოსმა, მათგან დასკვნით ტურში მონაწილეობის უფლება მიიღო 437-მა, მონაწილეობა მიიღო 42-მოსწავლემ. რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის მიერ მოსწავლეთა ნამუშევრების გასწორების შედეგად გამოჯვრელად იქნა ცოცხალი 31 მოსწავლე (ნაცვლად გასულ წელს გამოჯვრებული 35 მოსწავლესა).

ნორჩ ქიმიკოსთა 27-ე რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის უეთესად მოემზდნენ ქ. თბილისის მე-4, მე-15, 23-ე, 33-ე, 42-ე, 51-ე, 52-ე, 66-ე, 54-ე, 81-ე, ბათუმის 1-ლი, ქუთაისის მე-3 და მე-19, საგაეჯოს 1-ლი, სოხუმის მე-2, თელავის 1-ლი, მახა-

საქართველოს
განათლების
მინისტროს

რამის რაიონის ანასეულისა და ზოვი სხვა სკოლა, რომელთა აღსაზრდევობაში გამოამტკიცეს საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნის დამაკმაყოფილებელი ცოდნა.

მაგრამ იგივე არ იოქვის გორის, ხაშურის, ლაგოდეხის; ბორჯომის, სამტრედიის, ტყეშელის, ბოლნისის, სიღნაღის, ქაჩელის, მცხეთის, ზესტაფონის, ვანის, ორჯონიკიძისა და ზოგ სხვა რაიონსა და ქალაქზე, სადაც განათლების განყოფილებები სკოლის დირექტორები და ქიმიის მასწავლებლები ნაკლებად ზრუნავენ საფუძვლიანი ცოდნით მსწავლელთა შიარაღების, კლასგარეშე მოუზომის მაღალ დონეზე დაყენების, კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობისა და სწავლებაში გამოყენებისათვის.

სკვნის საფუძვლებში შემჩნევა ფორმალურად სათანადო ყურადღება არ იქცევა საგნით დაინტერესებულ მოსწავლეებთან ინდივიდუალური კონსულტაციების ჩატარებასა და რთული ხასიათის თეორიული და ექსპერიმენტული ამოცანების ამოხსნას. ზოგ საოლადში ქიმიის მასწავლებელთა სუსტ მუშაობასა და ოლიმპიადებში მონაწილე მოსწავლეთა ცოდნის დაბალ დონეზე მიუთითებს ის, რომ დასკვნითი ტურის მონაწილე 426 მოსწავლიდან 129 ექვთი ქულაც კი ვერ მიიღო. ხოლო 135 მოსწავლის ნამუშევარი 1 ან 2 ქულით შეფასდა. როგორც მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზში ცხადყო, მოსწავლეთა ნაწილმა არ იცის ნაერთების ფორმულებისა და რეაქციების განტოლებების შედგენა, სათანადოდ ვერ ერკვევა რეაქციებში მ-მდინარეობის პირობებში, სუსტად იციან რიგი თეორიული და პრაქტიკული ხასიათის საკითხები; ნამუშევრებში გვხვდება უხეში შეცდომებიც: $H_2S + 4H_2O = H_2SO_4 + 4H_2$ (თბილისის მე-14 საშუალო სკოლა), $4H_2O = 8H^+ + 4O^{2-}$ (ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინის საბჭოთა მეორეობის საშუალო სკოლა), $Cu + 2NaOH = Cu(OH)_2 + 2Na$, $2Na + 2HNO_3 = 2NaNO_3 + H_2$ (ქ. რუსთავის მე-2 და მე-10 საშუალო სკოლები); $2KNO_3 = 2K + 2NO_2 + O_2$ (რუსთავის მე-17 საშუალო სკოლა); $K_2SO_4 = K + SO_3 + O_2$, $K_2SO_4 + 2HCl = KH + H_2SO_4$ (ზნაურის ქართული საშუალო სკოლა), $2H + 6HCO_3 = 28(NO_3)_2 + H_2$ (ბათუმის მე-9 საშუალო სკოლა), $4KNO_3 = K_2O + NO_2 + O_2$, $KUO_3 = KUO + KO_2$, $MnO_4 = K_2O + MnO + O_2$ (ონის 1-ლი საშუალო სკოლა) და სხვა.

ყოველივე ის იმის შედეგია, რომ სკვნის მსწავლებლები, რაიონული და ზონალური საორგანიზაციო კომიტეტები ფორმალურად

ლურად უდგებიან მაღალი მომზადებისა და უნარიანი მოსწავლეების გამოვლინებასა და შეჩვენას, ობიექტურად არ აფასებენ მოსწავეთა მიერ რაიონულ და ზონალურ ტურბზე შეარჩეულნიანამ შვრებს. ზონალურ ტურში ზონების საორგანიზაციო კომიტეტების მიერ მოსწავეთა ნამუშევრების შემოწმბი შეუადგამარჯვებულად იქნა ცნობი-ი 783 მოსწავლე, მათი ნამუშევრების ხელახალი გადამოწმების შედეგად რესპუბლიკურმა საორგანიზაციო კომიტეტმა დასკვნით ტურზე დაუშვა მხოლოდ 432 მოსწავეთა ნამუშევრების გაწორებისა და ქულებით შეფასების საქმეში გულგრილობა და ლიბერალობა გამოიჩინეს ბათ მას, სოხუმის, თბლისის, ქუთაისის, მბროლაურის, ვარდაზნი, მარნეულის, კასპის, მცხეთის, წაოკისა და ბოლნისის საორგანიზაციო კომიტეტებმა.

ნორჩ ქიმიკოსთა 28-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ორგანიზებულათ ჩატარების მიზნით,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ნორჩ ქიმიკოსთა 27-ე რესპუბლიკური ოლიმპიადაში წარმატების მოპოვებისათვის დაჯილდოებულ იქნეს 82 მოსწავლე. მათ შორის 1-ლი ხარისხის დიპლომით 4 მოსწავლე, მეორე ხარისხის დიპლომით—35, მესამე ხარისხის დიპლომით—43 მოსწავლე.

2. 1974—75 სასწავლო წელს ჩატარდეს ნორჩ ტექნიკოსთა 28-ე რესპუბლიკური ოლიმპიადა სამ ტურად: სასკოლო, ზონალური და რესპუბლიკური. სასკოლო ტური ჩატარდეს 30 დეკემბრამდე, ზონალური—2 თებერვალს, რესპუბლიკური—9 და 10 მარტს. 9 მარტს ჩატარდეს თეორიული ტური, 10 მარტს—ექსპერიმენტული.

3. ნორჩ ქიმიკოსთა 28-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების ხელმძღვანელობასათვის შეიქმნას რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ფირცხალავა ნოე იოსების ძე—ქიმიის მეცნიერებთა დოქტორი, თბლისი, სახელმწიფო უნივ რსიტეტის პროფესორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

2. ზ ხ ა შ ვ ი ლ ი თამარ ალქსანდრეს ასული—მოსწავლელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორი, თავმჯდომარის მოადგილე;

3. ლ მ ს ი ა ნ ი ძ ე ვ ა ქ ა რ ი ა ავაბოს ძე—აქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი, თავმჯდომარის მოადგილე;

4. კაპანაძე შოთა გრივოლის ძე—მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქიმიის კაბინეტის გამგე, საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი;

5. ფაჩკაძე ნელი ნიკოლოზის ასული—საქართველოს ალკალური ცენტრალური კომიტეტის მდივანი;

6. უგულავა მიხეილ მელიტოხის ძე—ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი;

7. აღმა სერგო ვარლამის ძე—ქაშიის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი;

8. ვაჩნაძე ელენე სიკოს ასული—ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი;

9. თალაკვაძე გერმანე ხესტორის ძე—ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი;

10. ბახტაძე ირინე გიორგის ასული—ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი;

11. დემეტრაძე ქეფევან ნიკოლოზის ასული—პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი;

12. კიკვიძე ბესარიონ იოანეს ძე—მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი;

13. ეფემოვა ვალინა ივანეს ასული—ქ. თბილისის 33-ე საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი;

14. ჯაფარიძე ნიკოლოზ ომანის ძე—სოციალისტური შრომის გმირი, პენსიონერი;

15. უნგიაძე კლავდია თეოფანეს ასული—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ქიმიის ლაბორატორიის გამგე; ქიმიის მასწავლებელი;

16. რობიტაშვილი თამარ ალექსანდრეს ასული—ქ. თბილისის 29-ე საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი;

17. ტუცკია ქეთევან იოაკიმის ასული—ქ. თბილისის 42-ე საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი;

18. ჭაბურჭილაძე მარიამ სერგოს ასული—ქ. თბილისის 68-ე საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი;

19. ჯავახიძე ჟანა ალექსანდრეს ასული—ქ. თბილისის ნათლების გაყვანილობის მეტოქეაბინეტის მეთაურისტი;

20. ინაშვილი ლილი გიორგის ასული—თბილისის 54-ე საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი;

21. გოდერძიშვილი მერი ილას ასული—თბილისის მე-4 საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი.

4. დამტკიცდეს ნორჩ ქიმიკოსთა 28-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება (თან ერთად).

5. ხორჩ ქიმიკოსთა 28-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩამტარებელმა საორგანიზაციო კომიტეტმა:

ა) წი აწარ შედგენილი გეგმა მიხედვით სისტემატური ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიოს ქიმიის მასწავლებლებს, სკოლიგარეშე საბავშვო დაწესებულებებს ოლიმპიადის მომზადებისა და ჩატარების საქმეში;

ბ) პერიოდულად მოიწვიოს კომიტეტის სხდომები და მოსმინოს ოლიმპიადისათვის იზაღების საკითხები, დასახოს ქმედითი ღონისძიებები უმჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლებას კანყოფილებათა გამგეებმა:

ა) ნორჩ ქიმიკოსთა 27-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგები განიხილონ ქიმიის მასწავლებელთა სექციის სხდომებზე და დასახონ საჭირო ღონისძიებები საგნის სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

ბ) უზოანველყონ 28-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადის მოსწავლეთა ფართო მონაწილეობა. ამ მიზნით ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობას; სკოლებში, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებში ჩამოაყალიბონ ნორჩ ქიმიკოსთა სპეციალური ჯგუფები, მათგან, მეცადინეობის ჩასატარებლად, შეარჩიონ საუკეთესო მოსწავლენები, რომლებიც სისტემატურად ჩატარებენ ვარჯიშს საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნაზე.

7. რვაწლიანი და საშუალო სკოლების ქიმიის მასწავლებლებმა შეარჩიონ ქიმიით დაინტერესებულნი სათანადო მიდრეკილების მქონე მოსწავლენები, სისტემატურად ავარჯიშონ ისინი რაღული თეორიული და ექსპერიმენტული ამოცანების ამოხსნაზე, მიაჩვიონ ბავშვები დამოუკიდებელ მუშაობას.



8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. გ. კბილაშვილი) 1975 წლისათვის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს გამოუყოს საჭირო რაოდენობის ქაღალდი ნოორ ტექნიკოსთა 28-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩასატარებლად.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ა. კვაჭაქვი) მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში 1975 წ. ბიუჯეტში გათვალისწინოს ოლიმპიადისათვის საჭირო ხარჯები.

10. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები ოლიმპიადის მიმდინარეობის შესახებ.

11. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. ჯანდელაკმა) სისტემატური კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი; საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგის 1974 წლის 3 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი

თ. ლაშქარაშვილი

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის
3 ოქტომბრის დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ნორჩ ქიმიკოსთა 28-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის
ჩატარების შესახებ

1. ნორჩ ქიმიკოსთა 28-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ატარებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ბაზაზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური და თბილისის პეშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტების მონაწილეობით.
2. ოლიმპიადის მიზანდასახვას გააღრმავოს მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნის ქიმიის, გამოავლინოს ნიჭიერი და საგნით დაინტერესებული მოსწავლეები, დაეხმაროს სკოლას ქიმიის სწავლების დონის ამაღლებაში.
3. ნორჩ ქიმიკოსთა ოლიმპიადის მონაწილეობის მიღება შეუძლია რვაწლიანი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სალაშოს (ცვლის) სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლებია VIII, IX, X (XI) კლასების მოსწავლეებსა და აღზარდულებს.
4. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის იქმნება:
 - ა) რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო;
 - ბ) ზოგადური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს ზონის ცენტრის განათლების განყოფილება. ზონალურ საორ-



გ) სასკოლო საორგანიზაციო კომიტეტში, რომელსაც ამტკიცებენ სკოლის დირექტორი;

5. რესპუბლიკური, ზონალური და სასკოლო საორგანიზაციო კომიტეტები ოლიმპიადაში მონაწილე მოსწავლეებისათვის აწყობენ მეცნიერ მუშაკთა და გამოცდილ პედაგოგთა ლექციებს მათთვის საჭირო თემებზე და ატარებენ პრაქტიკულ ვარჯიშს სოლიმპიადო ხასიათის ამოცნების ამოხსნაზე.

6. ნორჩ ქიმიკოსთა ოლიმპიადა ტარდება სამ ტურად: პირველი—სასკოლო, მეორე—ზონალური და მესამე—რესპუბლიკური. სამივე ტური დასრუებულია.

პირველი ტური ტარდება სკოლაში, მეორე, ზონალური—ზონის ცენტრში, მესამე, რესპუბლიკური—ქ. თბილისში.

ზონალური ტურის ჩასატარებლად რესპუბლიკა დაყოფილია 28 ზონად.

ზონის ცენტრებად შერჩეულია:

1. ქ. თბილისი—ქ. თბილისის სკოლების მოსწავლეებისათვის;
2. ქ. სოხუმი—აფხაზეთის ასრ სკოლების მოსწავლეებისათვის;
3. ქ. ბათუმი—აჭარის ასრ სკოლების მოსწავლეებისათვის;
4. ქ. ცხინვალი—სამხრეთ-ოსეთის ა.ო სკოლების მოსწავლეებისათვის;
5. ქ. რუსთავი—ქ. რუსთავის, გარდაბნის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის;
6. ქ. ქუთაისი—ქ. ქუთაისის, ტყიბულის, წყალტუბოს, მაიაკოვსკის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;
7. ქ. სამტრედია—სამტრედიის, ვანის, წულუკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;
8. ქ. ზესტაფონი—ზესტაფონის, თერჯოლის, ორჯონიკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;
9. ქ. ფოთი—ქ. ფოთის სკოლების მოსწავლეებისათვის;
10. ქ. ცხაქია—ცხაქიას, აბაშის, ჩიოროწყუს, გეგეჭკორის სკოლების მოსწავლეებისათვის;

11. ქ. ზუვდილი—ქ. ზუვდილის, ზუვდილის, ხობის, წალენჯიხის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;
12. ქ. ჭიათურა—ჭიათურის, საჩხერის რაიონების მოსწავლეებისათვის;
13. ქ. გორი—ქ. გორის, ქარუის, ხაშურის, ბორჯომის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;
14. ქ. მცხეთა—მცხეთის, კასპის, დუშეთის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;
15. ქ. ახალციხე—ახალციხის, ადიგენის, ასპინძის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;
16. ქ. ახალქალაქი—ახალქალაქის, ბოგდანოვკის სკოლების მოსწავლეებისათვის;
17. ქ. ბოლნისი—ბოლნისის, დმანისის, მარნეულის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;
18. ქ. თეთრიწყარო—თეთრიწყაროს, წალკის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;
19. ქ. თელავი—თელავის, ახმეტის, ყვარლის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;
20. ქ. გურჯაანი—გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, ლაგოდეხის, საგარეჯოს რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;
21. ქ. მაზარაქი—მაზარაქის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;
22. ქ. ამბროლაური—ამბროლაურის, ონის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;
23. მესტია—მესტიის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის;
24. ცაგერო—ცაგერის სკოლების მოსწავლეებისათვის;
25. ლენტეხი—ლენტეხის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის;
26. ყაზბევი—ყაზბევის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის;
27. თიანეთი—თიანეთის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის;
28. ქ. თბილისი—რკინიგზის სკოლების მოსწავლეებისათვის.

7. ასკოლო ტური ჩატ რდვა 30 იეკემბრამდე. ზონალური—2 თებერვალს; ხოლო რესპუბლიკური—9, 10 მარტს. ასკოლო ოლიმპიადის ზუსტ თარაღს აღგენს რაიონის განათლების განყოფილება.



8. ზონალურ ტურში მონაწილეობას მიიღებენ სასკოლო ტურში გამარჯვებული მოსწავლეები, რომლებიც 10 შესაძლებლობიდან დააგროვებენ 6 და მეტ ქულას, ამ მოსწავლეთა სტრუქტურულ შემოწმებული განათლების განყოფილების მიერ, 20 იანვრამდე ეგზამენტი ზონის საორგანიზაციო კომიტეტს.

9. სასკოლო ტურის ამოცანებს ადვენს საჩაიონო (საქალაქო) საორგანიზაციო კომიტეტი, ზონალური და დაკენითი ტურების ამოცანებს ადვენს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი სასკოლო და ზონალური ტურების მონაწილე მოსწავლეებს მიეცემა განვარდებითი და თვისობრივი ხასიათის ხუთ-ხუთი მოცანა. დრო ამოცანების ამოხსნისათვის განაზღვრულია 4 ასტრონომიული საათით; საუშოს შესასრულებლად მოსწავლეებს ეძლევათ 12 ფურცლიანი რკეულები.

ზონალური ტურისათვის ამოცანებს დალუქული პაკეტით საორგანიზაციო კომიტეტი მიიღებს ფოსტით ან სპეციალურად მავლინებულ პირის საშუალებით.

სასკოლო და ზონალური ტურის ჩატარებას დღეს დალუქულ პაკეტს ამოცანებით აღდიტორიაში მოსწავლეებს თანდასწრებით ხსნის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

